საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი (ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12). ტელეფონი 16—62.

№ 258 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 258

გულდათუთქულნი კესარია შვილებითურთ, მაკრინა ქმარ შვილით, გრიგოლი ცოლშვილითურთ და ირაკლი დიანოსის ძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დ. საჩხერეში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

სალომე პაპავასი.

გამოსვენება საკუთარ ოჯახიდან და დაკრძალვა მაცხოვრის ეკლესიაზე მოხდება ხუთშაბათს, დილით, 28 ნოემბერს. (2—2)

ნინა და დათიკო ფოცხიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი—საყვარელი ძმის, მეორე—ცოლის ძმის

არჩილ დოლიძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა გურიაში.

ვარლამ, ნინო, ლუბა, აბესალომ, ონისიმე და ლადო იაშვილები და კატო მდივნიშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 ნოემბერს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის პირველის მეუღლის და დანარჩენთა რძლის

ქრისტინესი.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის ეკლესიაში, დილის 9 საათზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვარდო, შვილი შალიკო, ძმა ბაგრატი, რძლები: ფედოსი და ივდითი, გამზრდელი ბიცოლა კატო, ძმის შვილები: ალექსანდრე, ვალიკო, ვასილი და სონა დოლიძეები, დები: ათინო თოდრიასი, ნინა ფოცხიშვილისა, სიძეები: თომა თოდრია და დათიკო ფოცხიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ლანჩხუთში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 24 ნოემბერს (ახალი სტილით) გარდაიცვალა კბილის ექიმი

არჩილ გიჯიას ძე დოლიძე.

დაკრძალვა მოხდება 28 ნოემბერს, სოფ. ამაღლებაში ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: უბედურნი დედა თებრონე, მამა გიორგი გიორგის ძე პატარა შვილებით, ბიძები: დიმიტრი და ალექსანდრე ბიძაშვილები: ვიქტორი, კოლა და კატუშა, მამიდები: დარო და ეფემია, ბიცოლები: ნატალია და ნინა ნათიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 26 ნოემბერს საღამოს 5 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ნ ი ნ ა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 5 საათზე. ბინა: ქართულ უნივერსიტეტის ეზო. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

მედიკურ საზოგადოების შენობაში (გიორგის ქუჩა) კვირას, 1 დეკემბერს, დილის 12 საათზე გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა

პირველი ყრილობა.

საორგანიზაციო ბიუროს მისამართი: ქალაქის აფთიაქი. ყრილობის წევრები უნდა გამოცხადდენ ბიუროში წინადღით.

(2—2) ფარმაც. ყრ. მომწვევი საორგანიზ. ბიურო.

## ჩვენ და რუსეთი

რუსეთის ზოგიერთ მოღვაწეთ განუზრახავთ ერობის და ქალაქების მოღვაწეთა თათბირის გამართვა, იმ ერობების, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზე იყვნენ არჩეული. ცხადია ეს არის დემოკრატიული რუსეთის თათბირი, იმ რუსეთის, რომელიც რევოლიუციის პირველ ხანას უძღვოდა და მის შონაპოვართ იცავდა. ეს არის რუსეთი, რომელიც შემდეგ ბოლშევიზმის ქარ-ბუქმა შთანთქა, და რომელსაც ახლა მკაცრი რეაქცია მარჯვნიდან და მარცხნიდან სულს უხუთავს. ის იყო ნაწილი რევოლიუციის ხერხემლის, რომელიც გატყდა ანარქიის სიმძიმის ქვეშ.

ახლა შეცვლილ გარემოების მიხედვით ეს რუსეთი კვლავ აპირებს თავი წამოყოს, წელში გაიმართოს.

არ ვიცით შესძლებს თუ არა ის ამას, მიაღწევს თუ არა თავის საწადელს. არც იმის თქმა შეიძლება გადაჭრით, ყველა ეს მოღვაწენი შერჩნენ თავის პირვანდელ რწმენას, თუ სხვა მხრივ გადიხნიქა მათი პოლიტიკური აზროვნება. რევოლიუცია ხომ უსაშინელესი ქარტეხილია არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ინდივიდუალურ შეგნება-შემეცნებაშიც. ამიტომ ჩვენ კატეგორიულად წინდაწინ არ ვწყვეტთ ამ ყრილობის შემადგენლობის ფიზიონომიის საკითხს.

ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, თუ რუსეთის დემოკრატიის წრეებში არის კიდევ—და უნდა იყოს,—დემოკრატიული სულის კვეთება, არის რწმენა და მისწრაფება იმ იდეებისადმი, რომელიც თებერვლის რევოლიუციამ წამოაყენა, მას ამ მოღვაწეებშიც უნდა ჰქონდეს ფართო ადგილი დათმობილი. ყოველ შემთხვევაში ეს ყრილობა თვითმართველობის მოღვაწეთა იქნება მაჩვენებელი იმ შესაძლებლობის, რომლის წარმოშობა და განხორციელება შეუძლია რუსეთის სინამდვილეს.

ჩვენ პატარა დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოვადგენთ. ჩვენ გამოვეყავით რუსეთს, არა მასთან მტრობით, არამედ თავდაცვის აუცილებლობით. არა მოღალატურათ, არა მუხანათური გზით, არამედ პატიოსნათ, როგორიც შეჰფერის დემოკრატიას და ერთ პირში გამოწრთობილი მებრძოლთ.

მაგრამ ეს ბევრმა არ იცის. ბევრი შეიძლება გულწრფელი დემოკრატიც ამ აქტით არა ნაკლებ გულნატკენია, ვინემ მილიუკოვები და უფრო მემარჯვენე იმპერიალისტები ჩვენ გვერდით. აქვე ვხედავთ ასეთ ელემენტებს, რომელნიც დემოკრატიის სახელითაც კი გვებრძვიან სწორეთ დამოუკიდებლობისათვის.

არ დავფარავთ, ავრცელებენ ხმებს, თითქოს დამოუკიდებლობის აქტი იყოს აქტი ერთი მუჭა ინტელიგენციის, ხოლო ხალხი მას ეწინააღმდეგებოდეს. მომავალი არჩევნები დამფუძნებელი კრების, ისე როგორც ერობის არჩევნებმა დაგვანახვეს კვლავ, დაამტკიცებენ ამ ხმების სიყალბეს.

ჩვენ ხალხს არ აქვს მტრობა რუსეთისა, იგი არ არის შოვინიზმის სენით შეპყრობილი. მაგრამ, რომ მას უყვარს თავის თავი, ენა, ქვეყანა, თავის დემოკრატიული წყობილების შექმნა და დამტკიცება, განა ამაზე დავა შეიძლება?

ეს სიყვარული არ გადადის ამ საგანთა გაღმერთებაში, არ აქცევს ამ ნაციონალურ სიკეთეს ხელუხლებელ ფეტიშად, კერპად, რომლის წინაშე საჭიროა მუხლის ჩოქვით დგომა და საკმევლის კმევა. იგი გზა და ხიდია მომავალ იდეალებისა. და როგორც გზა და ხიდი— იგი მხოლოდ მაშინ არის უფრო გამოსადეგი, როცა მის გვერდით, მის გარეშემო ასეთივე გზა იკაფება, ასეთივე ხიდები აიგება.

ჩვენი დემოკრატია არსებითად დაინტერესებულია იმაში, რომ ჩვენს გარშემო შემოკრბეს არა რეაქციის სიბნელე, არამედ ნათელი მეუფება დემოკრატიისა, რომელთანაც ჩვენ შეგვეძლება გასაგები ენით ლაპარაკი. ვერ დავფარავთ, ჯერ ბურუსითაა მოცული ის საკითხი, თუ როგორ უყურებენ ჩვენ დემოკრატიულ საქმიანობას რუსეთის დემოკრატიული მოღვაწენი, განსაკუთრებით ჩვენს დამოუკიდებლობას. ერთი ცხადია, თუ რუსეთში ჩვენი დემოკრატიის ხმა იპოვის გამოძახილს, მხოლოდ ამ წრეებში. ან საბოლოოთ უნდა ავიღოთ ხელი რუსეთთან გასაგებ ენით ლაპარაკზე და მაშინ საქართველოს ბედი ადრე თუ გვიან ჩრდილოეთის ვეშაპის ლუკმათ გახდება, ან უნდა შევეცადოთ მათთან ამ ენის გამოძებნას. დემოკრატიული თათბირი, რომელიც ამ ჟამად განზრახულია შეიკრიბონ რუსეთში, ერთი იმ გზათაგანია, რომელიც ამ მესამე შესაძლებლობას გვიყენებს წინ.

ჩვენ ვიცით, პოლიტიკური მიზანი ამ ყრილობის და სწორეთ ამიტომ, საჭიროთ მიგვაჩნია იქ გაისმას ხმა ჩვენი დემოკრატიის.

ჩვენი სურვილი ყველასთან მეგობრულ განწყობილების დაჭერისა გვავალებს, რომ რუსეთთანაც გამოვძებნოთ მეგობრული ენა.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი: ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ, გვაქვს დემოკრატიული წყობილება, აცილებული ვართ ბოლშევიზმის და ნაციონალისტების რეაქციის ტალღებს. და ჩვენი სურვილის, რაც რევოლიუციის წლებში მოვიპოვეთ ჩვენის რევოლიუციური ენერგიით, კიდეც შევინარჩუნეთ. დემოკრატია აქ ბატონობს. ეს უნდა დარჩეს ხელუხლებელი. რესპუბლიკა აქ მტკიცდება შინაგანი ძალთა განწყობილების მიხედვით, ჩვენ არ გვინდა გარეშე ელემენტების ჩარევამ იგი მარჯვნივ გადახაროს, ან სულ გააუქმოს. დამოუკიდებლობა დღეს ჩვენში ფარია დემოკრატიზმის განმტკიცების, თავდებია რევოლიუციის მონაპოვრის შერჩენის, საუკეთესო საშუალებაა დღეს ჩვენი ხალხის მომავალი განვითარების და წინმსვლელობის საკაცობრიო იდეალებისაკენ. და ამას ამიტომ აქვს ჩვენთვის ფასი და მნიშვნელობა. ამიტომ ვეჭიდებით მას. თეორეტიულად შეიძლება ვთქვათ, ჩვენს მეზობლად რომ სოციალისტური ან უკეთესი წყობილება იყვეს, ჩვენ მომხრე ვიქნებოდით იმ წესების გადმოღებისა და თუ ამისთვის საჭირო იქნება დამოუკიდებლობას შევწირავთ კიდეც ასეთ მიზანს. მაგრამ ეს წმინდა თეორეტიული მსჯელობაა. დღევანდელ კონკრეტიულ სინამდვილეში ჩვენს წინ სდგას სულ სხვა პრობლემა. ჩვენ გვინდა გაიფანტოს გარშემო შემოკრებილი შავი ღრუბლები რეაქციის და დემოკრატიზმის სხივით განათებულ მიდამოებში ჩვენც გაგვიადვილდეს ჩვენი რესპუბლიკის გაღონიერება და საუკეთესოდ მოწყობა-მოწესრიგება.

და ჩვენ თუ წავალთ რუსეთის დემოკრატიის მოღვაწეებთან სწორეთ იმ მიზნით, რომ გადავცეთ მათ ჩვენი გულის ნადები, შევატყობინოთ ჩვენი წრფელი მისწრაფებანი და მათ გულშიაც გამოვიწვიოთ თანაგრძნობა ჩვენდამი.

ჩვენ გვინდა მეგობრობა ჩვენი დამოუკიდებელი დემოკრატიისა მეზობელ მხარეებში და ამ მეგობრობის მოსაპოვებლათ ჩვენ არ დავერიდებით გუშინდელ თანამებრძოლებთან მოლაპარაკებას.

მართალია, ჩვენ ვერ ჩავერევით აქტიურათ რუსეთის შინაურ საქმეებში.

ეს ალემატება ჩვენს ძალ-ღონეს. და ამის პირობას ცხადია, ჩვენ ვერავის დავუდებთ. მაგრამ რუსეთში მოქმედ ძალებ შორის რომ ჩვენი სიმპატია ერთიანათ დემოკრატიულ წრეების მხარეზეა, ეს უნდა მათთვისაც უეჭვო გავხადოთ. უნდა გავფანტოთ ის ბურუსიც, რომელიც რეაქციონურმა ჟაკხანალიამ დაბადა ჩვენს გარშემო.

ჩვენ ვიცნობთ, რუსეთის დემოკრატიას, რუსეთის დემოკრატიაც, იმედი გვაქვს, იცნობს ჩვენი ნამოქმედარს და ამ რიგათ მოიძებნება საერთო ხმა, რომელიც დაიცავს ჩვენი დამოუკიდებლობის იდეასაც დაუმსახურებელი საყვედურებისაგან და ხელს შეუწყობს რუსეთშიაც ისეთ პირობების შექმნას, რომელიც ყველა ერის და ქვეყნის დემოკრატიისთვის სასურველი იქნება.

## პ რ ე ს ა

ყველა ქვეყნის ნაციონალისტებს ერთნაირი თვალსაზრისი აქვთ: ეს არა ერთხელ გვითქვამს და დაგვიმტკიცებია. ახლაც გვინდა ერთი დამატებითი მაგალითი მოვიყვანოთ გაზ. „საქართველოს" მეთაურიდან:

„დაიშალა ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. მუშათა პარტია და დაარსდა საქართველოს მუშათა პარტია.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებისთვის ეს ფაქტი ნიშნავს მთელს პერიოდს, ამით დასრულდა საქართველოს ერთი მთავარი და გავლენიანი პარტიის ნაციონალიზაცია".

გაზეთს ამით უნდა სთქვას, რომ საქართველოს სოც.-დემ. პარტია ამიერიდან იქნება მხოლოდ ქართველების პარტია, ისე, როგორც დაშნაკელები არიან მხოლოდ სომხების პარტია, ან ეროვნულ დემოკრატები მხოლოდ ქართველების... ამასვე სწერდა უფრო გაფთრებული კალმით და ბრაზიანი ენით სომხური გაზეთი „აშხატავორი", ორგანო დაშნაკელებისა. ნაციონალისტებმა ორივეგან ერთნაირი თვალი გამოიბეს. მაგრამ უნდა ვაუწყოთ ამ ნაციონალისტური ბისტით თვალ აბმულებს, რომ საქართველოს სოც.-დემ. არის პარტია ყველა ერის მუშათა კლასის, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს. მაშასადამე იგი ნაციონალურია მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ნაციონალურია თვით ჩვენი რესპუბლიკა, რომლის ფარგლებში ჩვენ გვიხდება ცხოვრება.

პრინციპი, რომელმაც ჩვენგან მოითხოვა ასეთი პარტიის დაარსება, იმაში მდგომარეობს, რომ თვითეული პოლიტიკური პარტია უნდა მოქმედებდეს ერთ სახელმწიფო საზღვრებში, თუ მას არ უნდა ისეთ ავანტიურისტული პოლიტიკის წარმოება, როგორსაც აწარმოებენ „დაშნაკელები" მაშასადამე გადამწყვეტი პრინციპი ჩვენთვის არის ტერიტორიალური და არა ნაციონალური.

მაგრამ საინტერესოა, როგორ ხსნის „საქართველო" ჩვენს ასეთ ნაბიჯს:

"რევოლიუციის პირველ დღიდანვე ქართველმა ერმა დაინახა, რომ რევოლიუცია უმთავრესათ უნდა შეხებოდა ეროვნულ განთავისუფლებას. ეს მისწრაფება ქართველი ხალხისა იმდენად ძლიერი იყო, რომ სოც.-დემოკრატებს არ შეეძლოთ ამისთვის არ გაეწიათ მეტი ანგარიში და ამ დღიდან იწყება მათი ძველი პოზიციიდან შეუკავებელი უკან დახევა, ძველი დოგმების დღითი დღე განიავება".

აქ თვითეული სიტყვა განიავებაა ფაქტების, რომელიც ჯერ არავის არ დავიწყებია საკვირველია, ასე თვალდათვალ ამგვარ სტრიქონებს რომ სწერს კაცი, რის იმედი აქვს, მკითხველის შეუგნებლობის, თუ თავის უპასუხისმგებლობის? აბა როდის იყო, რომ ქართველი ხალხი ნაციონალიზმისკენ გადახრას მოითხოვდა ს.-დემოკრატიისაგან, ან ნაციონალისტურ მიზნებს უსახავდა რევოლიუციას?

ის კი არა, დღესაც თვით დამოუკიდებლობა იზომება და იწონება დემოკრატიზმისა და მუშათა კლასისთვის გამოსადეგობის თვალსაზრისით და ასე პირიქით.

დამოუკიდებლობის ღირებულება მისი დემოკრატიული ღირებულებაა.

* * *

სოც.-რევოლიუციონერების გაზეთი „შრომა" გვასწავლის, როგორ უნდა მივიდეთ „პირდაპირი და მოკლე გზით სოციალიზმისაკენ". მას არ მოსწონს ის გზა, რომლითაც მიდის მარქსიზმი:

სოც.-დემ. სოციალიზმისაკენ ძველი გზით მიემართება, კაპიტალიზმის გზით. ის თავის იდეალის განხორციელებას აპირებს არა პირდაპირი მუშაობით, არამედ ამ იდეალის საწინააღმდეგო მცნების—კაპიტალიზმის განვითარებით. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება უკიდურეს ინდივიდუალისტურ წყობილების განვითარების შედეგათ სოციალიზმი შეიქნეს. ასეთი შესაძლებლობის ალიარება მხოლოდ მარქსისტული დიალექტიკით შეიძლება რადგან, როგორც ნათქვამია: „Діалектика что дышло, куда повернула туда и вышло".

სოც.-დემ. დემოკრატიზმი არის ინდივიდუალისტურ ბურჟუაზიული წყობილება, ე. ი. სოციალიზმის საწინააღმდეგო მცნება. ამიტომ სოც.-დემ. ფორმულა „დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ" მხოლოდ უაზრობაა. მტკიცება იმის, რომ დემოკრატიზმის დამყარება მათ ანიჭებს საუკეთესო პოზიციებს, რომლიდანაც იხსნება გზა სოციალიზმისკენო, სიმართლეს არ შეეფერება.

სოციალიზმი ისეთი წყობილებაა, სადაც გაბატონებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი მიზანშეწონილება. ამიტომ მისი დამყარება შეიძლება არა ინდივიდუალისტურ ბურჟუაზიულ ფორმების დაკანონებით, არამედ ინდივიდუალისტური მეურნეობის, ბურჟუაზიული წყობილების უფლებების შებოჭვით, დათრგუნვით, ფართო კოლექტივიზაციის გატარებით.

ეს არის პირდაპირი და მოკლე გზა სოციალიზმისაკენ.

როგორც ხედავს მკითხველი, ამოწერილ სტრიქონების ავტორი თითონ ამბობს, „ჩვენთვის გაუგებარია" როგორ შეიძლება უკიდურეს ინდივიდუალისტურ წყობილების განვითარებას შედეგათ სოციალიზმი შეიქნესო". გვწამს, რომ ეს მისთვის გაუგებარია, რადგან ავტორს თვით მარქსისტულ დიალექტიკაზედაც მეტად მუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია. სხვანაირად არ შეიძლება: ბ. ანკანი მთელი თავისი მსოფლმხედველობით ყოფილა უტოპისტი, და ამიტომ პოლიტიკური მაქსიმალიზმი უფრო გასაგები ყოფილა მისთვის. მისი „პირდაპირი მუშაობა" არის თუ არა იგივე ანარქისტების „action directe?" საკვირველიც არ არის, თუ ანარქისტულად და მაქსიმალისტურათ მიმართულ გონებას ვერ გაუგია, როგორ შეიძლება სოციალისტი იმისთანა ლოზუნგს აყენებდეს, როგორიც არის „დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ".

## მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

17 ნოემბერი.

(სალამოს სხდომა).

### ინტერნაციონალი.

მოხსენებას აკეთებს ირ. წერეთელი. ამხ. საერთაშორისო ომის დაწყებამ დაარღვია დროებით მოსპო ინტერნაციონალი; დღეს, როცა ბოლო ელება ამ საშინელ ომს—დადგა დრო ინტერნაციონალის აღდგენისა; და რომ გავარკვიოთ თუ რა სახით და ფორმით შეიძლება მისი აღდგენა—საჭიროა გავითვალისწინოთ და გავეცნოთ იმ პირობებს, რომელმაც გამოიწვია მეორე ინტერნაციონალის დარღვევა.

ინტერნაციონალი დაარსდა მარქსის მეთაურობით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. პირველათ ეს იყო ერთი მთლიანი იდეიური ჯგუფი მოწინავე სოციალისტებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამდგარი ფესვები მუშათა მასაში. მისი სამოქმედო ასპარეზი მთელი მსოფლიო იყო, მისი განაჩენი სავალდებულო იყო ყველა ქვეყნის სოციალისტებისათვის. ეს ორგანიზაცია, სოციალისტურ მოძრაობის სწორ იდეალის გამომხატველი შეუფერებელი გამოდგა იმ დროის კაპიტალისტურ ვითარების მიხედვით. როგორც კი ინტერნაციონალის იდეებმა ფესვი გაიდგა მუშათა მასაში, ინტერნაციონალი დაიყო ეროვნულ სექციებათ და თვითეული სექცია დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში. ამ სახით მეორე ინტერნაციონალმა მიიღო სახე ნამდვილ მასიურ მუშათა ორგანიზაციისა, და ეს იყო მისი დიდი შენაძენი პირველ ინტერნაციონალთან შედარებით. ხოლო მან დაკარგა მჭიდრო ორგანიზაციული შეკავშირება პირველი ინტერნაციონალისა— და ეს იყო მისი დიდი დანაკლისი.

ეს დანაკლისი გამოიწვია არა ხელმძღვანელთა სურვილმა და შეცდომებმა, ის შეკავშირებული იყო კაპიტალისტურ ვითარების მაშინდელ ძირითად მხარესთან.

დღეს ჩვენი თაობისთვის უკვე ცხადია, რომ ის დიდი ეკონომიური ხანა, რომელსაც კაპიტალისტური ხანა ეწოდება, განიყოფება ორ დიდ და უმთავრეს პერიოდათ. პირველ პერიოდს ეკუთვნის დაარსება ნაციონალური სახელმწიფოებისა, შექმნა და აღორძინება დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებისა, რომლებიც არ იყვნენ მაშინ დაინტერესებულნი მსოფლიო ბაზრისათვის, გაბატონებისათვის მსოფლიო ბაზარზე; ამ დროს მხოლოდ ერთი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც არა თუ აკმაყოფილებდა შინაურ მოთხოვნილებას, არამედ საჭიროებდა გარეშე ბაზარსაც და ის მის მუდმივ ძებნაში იყო. ეს იყო ინგლისი, რომლის კაპიტალისტურმა განვითარებამ იმდენათ გაუსწრო დანარჩენ სახელმწიფოებს, რომ გარეშე ბაზრის ძებნა-მოპოვებაში მას არ ჰყავდა მეტოქე და ამიტომ მას თავის გზის გასაკაფავათ არც ცეცხლი და მახვილი სჭირდებოდა. ბაზრის დასაპყრობათ საკმარისი იყო საქონლის სიიაფე და რადგანაც ინგლისის მაშინდელი ეკონომიური განვითარება ამას შესაძლებლათ ხდიდა—ის გამოდიდა მსოფლიო ბაზარზე ბურჟუაზიის იდეოლოგიის შემქმნელათ და გამომხატველათ და ამართა დროშა თავისუფალი ვაჭრობის, ერთა თვითგამორკვევის, ლიბერალიზმის. ეს არ იყო მხოლოთ ლიტონი სიტყვები, ეს არ იყო მხოლოთ დაწერილი პროგრამა—ეს იყო სამოქმედო გეგმაც ინგლისის ბურჟუაზიისა. ის საქმითაც ამტკიცებდა ყოველივე ამას და რამდენათ ის ატარებდა ყოველივე ამას თავის პრაქტიკაში, იმდენათ, კონტინენტალური ბურჟუაზიაც ცნობდა მის მეპაირახტრობას. მაგრამ სცნობდა იმდენათ, რამდენათ ინგლისის ბურჟუაზიის ლიბერალიზმი უპირდაპირდებოდა კონტინენტალურ სახელმწიფოების ფეოდალიზმს, რომელიც ხელს უშლიდა ეროვნულ ბურჟუაზიის განვითარებას, რომლის მიზანი იყო თვით გაბატონებულიყო თავის სახელმწიფოს საზღვრებში.

ყველაფერი რაც მოხდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ ხანაში, მოხდა ამ პოლიტიკური დროშის ქვეშ. მოსპობა ფეოდალიზმის, გაერთიანება გერმანიის, იტალიის და სხვა სწარმოებდა ლიბერალიზმის დროშის ქვეშ. ყველა ამ დროის ომები ატარებდა ერთ განსაკუთრებულ თვისებას: თუ ორი სახელმწიფო ერთმანეთს შეეტაკებოდა ერთი მხარე სცდილობდა გაეკეთებინა ის, რაც მეორემ უკვე გააკეთა. ერთი ისტორიკოსი სამართლიანად ამბობს, რომ ყველა ის ომები, რომელსაც ნაპოლეონი აწარმოებდა სხვადასხვა ადგილას, ეს იყო ერთი დიდი ომი და არა მრავალი ომები, ეს იყო ერთი დიდი შეტაკება საფრანგეთს და ინგლის შუა. საფრანგეთი იბრძოდა ეროვნულ სახელმწიფოს შესაქმნელათ, ინგლისის ბურჟუაზიამ იგრძნო საფრთხე თავის მსოფლიო ბატონობისთვის, და მის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ასევე გაერთიანების მოინდომა გერმანიამ 48 წელში და შემდეგ 70 წლებში ამავე ნიადაგზე ბისმარკის გერმანია შეეტაკა ნაპოლეონის საფრანგეთს. მეთოდი იარაღით სახელმწიფოს შექმნისა, რა თქმა უნდა, რეაქციონური იყო, მაგრამ თვით იდეა, დედა აზრი, იდეა გაერთიანებისა, და ეროვნულ სახელმწიფოს შექმნისა კი

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ივანე ბესარიონის ძე იმნაძე შვილებით, დები: სოფიო, პელაგია მარაშენიძეები და ნინო ლომჯარიასი, სიძე თომა ლომჯარია შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას მათი უძვირფასესის

**მარიო ნიკოლოზ ს ასულის იმნაძისას.**

დაკრძალვა მოხდება შ. ბას, 30 ნოემბერს, ქალაქ ოზურგეთში

პროგრესიული. როცა საფრანგეთი ისწრაფოდა თავის სახელმწიფოს შექნას,— მაშინ ის იცავდა პროგრესიულ იდეას. რამდენათ მას ებრძოდა ინგლისი ამ ნიადაგზე იმდენათ უკანასკნელი თამაშობდა რეგრესიულ როლს. შემდეგ ნაპოლეონ მესამის საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა გერმანიის გაერთიანებას და ასე მის ერთ ეროვნულ სახელმწიფოთ ჩამოყალიბებას, და ამით ის გამოვიდა რეაქციონურ როლში. ასეთივე ხასიათი ჰქონდა იტალია და ავსტრიის შორის ატეხილ ომსაც. იტალიას სურდა ჰარიბალდის მეთაურობით იტალიის გაერთიანება. იტალიის ამ პროგრესიულ მისწრაფებას ეწინააღმდეგებოდა ავსტრია. ამ რიგათ ამ ომებში მუდამ იყო ორი მხარე: ერი პროგრესიული იდეის მატარებელი (მიუხედავათ რეაქციონური მეთოდისა) მეორე—რეაქციონური.

თუმცა ამ ომებს სხვადასხვა კონკრეტიულ შემთხვევაში სხვადასხვა ნაირად უცქეროდნენ მარქსი, ლასალი, ენგელსი, მაგრამ მათთვის ერთი მუდამ აშკარა იყო: იბრძოდა ორი ბურჟუაზია, მაგრამ ერთი იბრძოდა პროგრესისთვის, მეორე მის წინააღმდეგ, ერთი იყო თავდამსხმელი და მეორე კი თავდამცველი, ფეოდალიტური სახელმწიფო მუდამ [illegible] ეხმოდა ჩამორჩენილს, და აი როცა გვინდა დავაფასოთ მეორე ინტერნაციონალი—ის უმთავრესი არ უნდა დავივიწყოთ. ინტერნაციონალი მუდამ გმობდა ომის საშუალებით კითხვის გადაჭრას, გმობდა მილიტარიზმს, მაგრამ ამავე დროს ამბობდა: მართალია ომი დამანგრეველი და მავნებელია, ჩვენ ყველა ომის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ რაკი ომი დაიწყება—უნდა გავარკვიოთ, ვინ არის თავდამსხმელი და ვინ თავს იცავს და უნდა მივეშველოთ იმას, ვინც აწარმოებს თავდაცვას. ბებელი ამბობდა: თუ გერმანია სხვას დაესხა თავს—ჩვენ გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ გამოვალთ, მაგრამ თუ ჩვენ დაგვესხნენ თავს მე და მთელი ჩვენი შეგნებული მუშები თოფებით ხელში ფრონტზე დავდგებითო. ამასვე ამბობდა ჟორესიც საფრანგეთის შესახებ. ასეთი იყო ვიმეორებ მაშინდელი იდეოლოგია. მაგრამ აი იფეთქა საერთაშორისო ომმა. რომელმაც დაამარცხა ინტერნაციონალი ფიზიკურათ, დაარღვია იდეიურათაც. თვითეული ქვეყნის მუშებმა დაინახეს საფრთხე თავის სამშობლოსათვის და მის დასაცავათ დაირაზმნენ. ძველი იდეოლოგია აღარ გამოდგა. საქმე იმაშია, რომ ინტერნაციონალის იდეოლოგია აშენებული იყო წარსულ პრაქტიკაზე. თანამედროვე ომმა კი სხვა პრაქტიკა წამოაყენა და ძველ ნიადაგზე აშენებული იდეოლოგია ცხადია უნდა დამარცხებულიყო, და უნდა დამარცხებულიყო იმიტომ, რომ ეს იდეოლოგია არ ეთანხმებოდა ახალ ნიადაგს. ეს ახალი ნიადაგია კაპიტალიზმის განვითარების უმწვერვალესი საფეხური. წინათ ბატონობდა სამრეწველო კაპიტალი, ახლა ბატონობდა ფინანსიური კაპიტალი. ის ვეღარ იტევა ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში, მას არ ყოფნის შინაგანი ბაზარი, ის ილტვის გარეშე ბაზრის დასაპყრობათ, მაგრამ აქ ხვდება ძლიერ კონკურენტებს. თუ წინათ ინგლისის ბურჟუაზია თავისუფლად ვაჭრობას, ერთა თვით-გამორკვევას ქადაგობდა, დღეს მას წინ წამოეჭრა ამერიკა, გერმანია და სხვა. მსოფლიო ბაზარი გასაყოფი შეიქნა. და მისი დაპატრონებისათვის საჭირო გახდა ფიზიკური ძალა. ასეთ პირობებში თვითეულ ქვეყნის ბურჟუაზია ცდილობს ჯერ შიგნით გამაგრდეს და მერე თვითონ, თავის ძალ-ღონით გადასჭრას სადაო საკითხი. და აი იწყება გაშმაგებული ბრძოლა კოლონიებისათვის. აქ ბურჟუაზიისთვის ის კი არ წყდება თუ ვინ თავს დაესხა და ვინ თავს იცავს, არამედ ვინ ჰარსებობს როგორც თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფო. თუ მას სურს იარსებოს, უნდა შემუსროს მოწინააღმდეგე იარაღით ხელში. აქ თავდასხმა ისე გადახლართულია თავდაცვასთან, რომ მისი გარჩევა, გახაზვა შეუძლებელი ხდება და ეს არის განსაკუთრებული თვისება დღევანდელი ომისა. აქ ორივე მხარე ერთ პრინციპს ეყრდნობა, აქ არ არის თავდამსხმელი და თავდამცველი; ეს ორი მომენტი ერთი მეორეშია ჩაქსოვილჩახლართული. ამისთვის კი მოუმზადებელი გამოდგა ინტერნაციონალი.

თვითეული ქვეყანა განადგურებას მოელოდა, საოცარი ძალა იმპერ. მთავრობათა აყო, რომ თ[illegible]სი ხალხი მან [illegible] განადგურების პრობლემის წინაშე [illegible] ვნა. თუ ხალხმა მას მხარი დაუჭირა, იმპერიალიზმი სხვას გაანადგურებს და თუ არა—ეს ქვეყანა განადგურდება. ეს თითქმის ვერ შეიგნო მეორე ინტერნაციონალმა. ომის დაწყებისას თავის გასამართლებლად ამბობდნენ — ჩვენ ვგმობთ ომს, მ გრამ მტერი საზღვრებზეა და თავს ვიცავთო. ასე ამბობდნენ ყველა ქვეყნებში და არ აღმოჩნდა ისეთი სოლიდარული, საერთო მიზნისკენ მიმართული პოლიტიკა, რომელიც მისაღები ყოფილიყო ყველა ქვეყნებისათვის.

ახალი პოლიტიკა უნდა აშენებულიყო ახალ ნიადაგზე. დასავლეთ ევროპაში თეორიას ითვისებენ პრაქტიკის მიხედვით. მუშათა კლასს სხვადასხვა ქვეყნებში არ ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ეს ომი დამარცხებითაც და გამარჯვებითაც დაღუპავდა ყოველივე იმას, რაც დღემდე კაპიტალმა ააშენა, გაანადგურებდა ცივილიზაციას და რომ ომს ბოლო არ მოეღებოდა მანამ, სანამ არ აღსდგებოდა, როგორც გაერთიანებული და დამოუკიდებელი ძალა, თვით მუშათა კლასი. ომის წლებმა ყველას აშკარად დაანახა, რომ ფინანსიური კაპიტალის დღევანდელი პოლიტიკა განვითარების მაგიერ შლის და არღვევს ქვეყანას, რომ განადგურება ერთი მხარის იწვევს საწარმოო ძალთა დაშრეტას მეორე მხარეში და აი ეს განცდა დაედო საფუძვლად იმ შეგნებას, რომელმაც ახლა თავი იჩინა დასავლეთ ევროპაში. ახლა გაიგეს, რომ თავდაცვა შეიძლება ომის მოსპობით და რომ ამისთვის საჭიროა მესამე კოალიციის შექნა, რომელიც დაამყარებს ისეთ წყობილებას, რომელიც საერთაშორისო კითხვების გადაწყვეტის დროს ბლდილს არ დაუთმობს იარაღს და ერთად ერთ სახელმძღვანელო პრინციპათ ხალხთა შორის მშვიდობიან შეთანხმებას და კავშირს გამოაცხადებს.

აი ეს განცდა-გამოცდილება უნდა დაედვას საფუძვლათ ახალ ინტერნაციონალს,

ინტერნაციონალის ბედი გერმანიაში სწყდება. ჩვენ იმედი გვქონდა რუსეთის რევოლიუციისა, მაგრამ იგი დაემხო და ამის მთავარი მიზეზი იყო არა შეცდომები ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა, არამედ თვით რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა და ძალთა განწყობილება მასში. მძიმე პირობები შეიქმნა იქ მით, რომ ეს ჩამორჩენილი ქვეყანა უნდა გამოსულიყო ახალ პოლიტიკას საერთაშორისო ხელმძღვანელად. დღეს კი იქ მოხდა რევოლიუცია, სადაც ეკონომიური განვითარება უაღრეს საფეხურზეა ასული და სადაც არის უდიდესი საფუძველი საზოგადოების გარდაქმნისა—განვითარებული მუშათა კლასი. ამ ქვეყანაში წყდება ბედ იღბალი საერთაშორისო მოძრაობისა. გაიმარჯვებს თუ არა გერმანიის რევოლიუცია, ამის თქმა ძნელია, მაგრამ თუ ის დამარცხდა ეს იქნება უდიდესი დამარცხება საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და თუ გაიმარჯვა გერმანიის რევოლიუციამ—ეს იქნება საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი გამარჯვება. რას ემყარება გერმანიის რევოლიუცია. განცდა ამ ომისა დაედვა საფუძვლად რევოლიუციას. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება იქ პროლეტარიატი? თუ შინაურ ძალთა განწყობილებას გადავხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ იქ 70 % მცხოვრებთა პროლეტარულია, რომელსაც ხელმძღვანელობს უდიდესი და უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ობიექტიური და სუბიექტიური პირობები მომზადებულია. პოლიტიკა იმპერიალისტურ კლასისა გაკოტრებულია, რადგანაც კლასი, რომელიც ომის სასწორზე დადებს მთელ თავის პოლიტიკას, დამარცხდა, ადვილად წელში ვეღარ გამოსწორდება. შინ ძლიერია რევოლიუციონური გერმანია, მაგრამ არის ერთი ძალა, რომელიც მისთვის სახიფათოა: ეს არის 11 მილიონიანი ხიშტის სტიქია. თქვენ იცით, თუ რა არის ასეთი სტიქია, ქსეცსებიც შესაძლებელია—ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. იბადება საკითხი: ეს სტიქია გადალახავს პროლეტარიატის სტიქიას თუ პირიქით პროლეტარიატის მისწრაფებანი დასძლევენ ამ სტიქიას? მე არ მინდა ოპტიმისტურად შევხედო საკითხს. მაგრამ ამის დიდი იმედია, რომ სძლევს გერმანიის პროლეტარიატი ამ საშიშროებას. შევადარეთ რაც მოხდა აქ და რაც მოხდა პეტროგრადში. რუსეთის რევოლიუციის უდიდესი უბედურება ის იყო, რომ არ არსებობდა ცენტრი სადი დემოკრატიულ-პროლეტარული მოძრაობისა. თავსასთავათ ანარქია იმდენათ საშიში არ იყო, მაგრამ საშიში იყო ის, რომ მის წინააღმდეგ არ იყო ცენტრი სადი დემოკრატიზმისა. აქ, თფილისში იყო ასეთი ცენტრი და ეს ფაქტი დაედვა საფუძვლად დემოკრატიის და რევოლიუციის გადარჩენას. ეს ფაქტი კი იმედს გვაძლევს, რომ გერმანიის პროლეტარიატი შეიგნებს ამ სტიქიის საშიშროებას და თავის ორგანიზაციებს დააყენებს ქვეყნისა და რევოლიუციის მცველად. და თუ სძლიეს ანარქიას და მწყობრი, სწორი გზით წაიყვანს რევოლიუციას, ეჭვი არაა, რომ რევოლიუცია იქ გაიმარჯვებს. ხოლო თუ იქაც დაირღვა დემოკრატიული სახელმწიფო, რევოლიუცია დაიღუპება მაგრამ დაიღუპება არა ისე, როგორც რუსეთში. რუსეთში რევოლიუციის დამარცხების შემდეგ კონტრ რევოლიუცია ვერ დაეპატრონა სახელმწიფოს, რადგანაც იქ არა მარტო პროლეტარიატი—ბურჟუაზიაც უსახური და სუსტია. გერმანიის ბურჟუაზია კი ძლიერია, და თუ რევოლიუციურმა დემოკრატიამ წაიფორხილა, მის ადგილს ბურჟუაზია შეეცდება. და მაშინ დამყარდება რეაქცია ევროპაში, მეტერნიხის დროის რეაქციაზე ძლიერი და ხანგრძლივი. ასეთია ხიფათი.

მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა გვაძლევს იმედს, ვიფიქროთ, რომ იქ რევოლიუცია გამარჯვების გზით წავა. იქნება ეს რევოლიუცია დემოკრატიული თუ სოციალისტური? გერმანია და ამერიკა ორი დიდი ქვეყანაა, ობიექტიური პირობებით სოციალიზმისათვის მომზადებული. მაგრამ თუ გერმანია მარტო დარჩა, ის ვერ შესძლებს სოციალიზმის განხორციელებას. სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო დემოკრატიის საშუალებით. ამის დამყარება გერმანიისათვის განსაკუთრებით ძნელი იქნება ამ ომის ბოლოს, სამხედრო დამარცხების შემდეგ.

გერმანიას სათავეში უდგია სოციალისტური მთავრობა, რომელიც ცნობილია მთელი ხალხისაგან და ამ მთავრობას არ ეშინიან მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. და თუ ბქამდის არ გამოუცხადებიათ სოციალისტური ეპოქის დადგომა, ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ სოციალიზმი ერთ დღეში არ განხორციელდება, არამედ ისიც, რომ ისინი ელიან საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატიის სანქციას, ისინი აქეთებენ საქვეყნო საქმეს და თუ მათ მხარი მისცეს, ისინი სოციალიზმის დამყარებას დღიურ წესრიგში დასვამენ. თუ ეს არ მოხდა, მაშინ გერმანიის პროლეტარიატი დაკმაყოფილდება დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას.

თუ სხვა ქვეყნებშიც გაიმარჯვა დემოკრატიამ, მაშინ დაიწყება დიდი ერა სოციალისტური რევოლიუციისა. ეს მოძრაობა ერთ ორ თვეში არ დამთავრდება: სოციალისტური რევოლიუცია არის გადაშენება ძირეულიანი მთელი ეკონომიური წყობილებისა. ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლიუციას შორის ერთი დიდი განსხვავებაა: ბურჟუაზიულ რევოლიუციის მატარებელთ სჭიროდათ მხოლოდ პოლიტ. უფლებების და ბატონობის ჩაგდება—ეკონომიური ბატონობა მათ წინათ ნელ-ნელა შეიძინეს, ხოლო პროლეტ. რევოლიუცია უფრო ღრმა არის, მან უნდა შესცვალოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალური ურთიერთობაც. პროლეტარიატი დღემდე ჩამოშორებული იყო ეკონომიურ და პოლიტიკურ გამგებლობის სფეროს. ეს მხარე მან ნაკლებ იცის, მას აკლია გაწვრთნა. თუ გერმანიის მუშათა კლასმა ისე არ იმოქმედა, რომ აამოქმედოს ახალ წყობილებისთვის ყველა შესაფერი ძალები, თუ მან არა პროლეტარული ძალები, „სპეციალისტები“ გადააგდო, მისი საქმე გაკოტრდება. მუშათა კლასი გერმანიისა სწორედ და შეგნებულად მიდის, ის გრძნობს თავის ძალებს და რასაც დაეპატრონა, არ გაუშვებს ხელიდან. სწორედ ამიტომ აპარატი სახელმწიფოს მართვისა იქ დაუნგრეველი დასტოვეს, ხოლო პროლეტარიატი, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ძალა პოლიტიკურად დაეპატრონა მას. ისინი თავიდანვე ანგარიშს უწევენ მთელ ხალხს. მათ სურთ დაუყოვნებლივ მოიწვიონ დამფუძნებელი კრება. ისინი ემყარებიან არა ხიშტებს, არა პრეტორიანულ ჯგუფებს—არამედ მთელ ხალხს, მთელ მუშათა კლასს. ეს არის პოლიტიკა—დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმის განხორციელებისა.

აშკარაა, თუ სხვაგანაც გადავიდა ეს მოძრაობა, ინტერნაციონალი აღსდგება არა მარტო იდეურათ, არამედ ორგანიზაციულადაც.

რაში გამოიხატება მთავარი იდეა აღდგენილ ინტერნაციონალისა? პირველ ყოვლისა კაცობრიობას ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა მიეცეს, რომელიც შესაძლებლათ გახდის საწარმოო ძალთა განვითარებისთვის უფრო ფართო ფარგლების შექმნას, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოებრივი ფარგლებია. ომი სწორედ ამ მოთხოვნილებიდან წარმოსდგა და თუ პროლეტარიატმა ვერ ნახა მისთვის მშვიდობიანი და მუდმივი დაკმაყოფილება—დაიღუპება. ევროპის და ამერიკის სახელმწიფოთა გაერთიანება—შტატების, ფედერაციის ან სხვა რაიმე საერთო ორგანიზაციის სახით, ეს ყველა სოციალისტურ პარტიას დღეს თავის პროგრამით აქვს გამოცხადებული. სავალდებულო არბიტრაჟი, სადაო საკითხთა შეთანხმების გზით გადაწყვეტა,—ეს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია დღეს მთელი კაცობრიობისთვის, მთელი ცივილიზაციისთვის. და აქეთ იქნება უპირველეს ყოვლისა მიმართული მთელი ძალები აღდგენილ ინტერნაციონალისა.

და ინტერნაციონალის სახე, მისი ორგანიზაცია ამ საერთაშორისო მოქმედებას მიხედვით იქნება ჩამოყალიბებული. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, ეს ლოზუნგი პრაქტიკულად უნდა გატარდეს მის ორგანიზაციაში. დღემდე ამ მხრით დიდი ნაკლი ჰქონდა ინტერნაციონალს, საერთაშორისო კონგრესები არ იყვნენ პრაქტიკულ მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელნი, მათ დადგენილებებს განყენებული ხასიათი ჰქონდათ და სავალდებულო ხასიათი არ ჰქონდათ. საჭიროა უფრო მტკიცეთ გაერთიანებული ორგანიზაცია, ისეთი ცენტრით, რომელიც მთელ საერთაშორისო მუშათა კლასს მუდმივ საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს. მესამე ინტერნაციონალი ორგანიული განვითარება იქნება მეორე ინტერნაციონალისა, მაგრამ ის უფრო შეფერებული იქნება თანამედროვე მსოფლიო განვითარების მოთხოვნილებასთან, უფრო მჭიდრო საერთო ორგანიზაციით შედუღებული და გაერთიანებული.

თუ იქ ევროპაში დემოკრატიის და ინტერნაციონალის საქმემ გაიმარჯვა, მაშინ გაიმარჯვებს პატარა ხალხთა საქმეც. ამხანაგებო! აქ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ჩვენ მართალია ბევრი რამ კარგათ ვერ მოვაგვარეთ, მაგრამ ერთი საქმე მაინც დიდებულად ჩავატარეთ: ეს იყო საგარეო პოლიტიკის წარმოება. ეს მართალია, მაგრამ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა რომ კარგად წავიდა, ამაში დიპლომატიას ნაკლები დამსახურება აქვს. ჩვენ ჩვენი ქვეყანა მართლა გადავარჩინეთ და თუ იმ ტენდენციამ მართლა გაიმარჯვა, რომელიც ეხლა სჩანს ევროპაში, ჩვენი მომავალი მთლად უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ ეს შედეგია არა მოხერხებულ დიპლომატიისა, არამედ იმისა, რომ ჩვენი ხალხი თავის საერთო დემოკრატიულ პოლიტიკაში თავიდანვე სწორ გზას ადგა, რომ ის მუდამ იყო მატარებელი ინტერნაციონალური პოლიტიკისა. ესაა ჩვენი ხალხის მთავარი ძალა და ღირსება. ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, სადაც გაჩაღებულია ეროვნული შუღლი, ჩვენი დემოკრატია არის ერთად ნეიტრალური ძალა და მას უჭირავს ისეთი ადგილი, რომ მისი დამარცხება ნიშნავს ანარქიის გაბატონებას, რაც არაა ხელსაყრელი არავითარ ევროპიელ მომსვლელი ძალისთვის. რაც გინდა სუსტი დიპლომატია გვყავდეს, ვინც კი შემოვა ქვეყანაში ამშენებლობისთვის და არა დასანგრევათ, იგი უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა დაგვეყრდნოს. ჩვენი გადარჩენა იყო შედეგი იმისა, რომ ჩვენ ვიყავით ინტერნაციონალური დემოკრატები, ნეიტრალურ პოლიტიკის მატარებელნი. ამან გადაარჩინა ერი და ქვეყანა. მთავარი ჩვენი ხაზი იმიტომ გამართლდა, რომ ის იყო ხაზი დემ.-ინტერნ. რომელიც იმავ დროს უაღრესად ეროვნული ხაზიცაა. აქ ასეთი მდგომარეობა იქნება, რომ უნდათ შეაერთონ ეს პოლიტიკა.

სხვა პოლიტიკის მატარებელნი გამოვიდნენ მეზობელ ერებში და რომ დაინახეს ჩვენი გადარჩენა, გული ბოღმით აევსოთ და ისეთი გაშმაგებით ამხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ, რომ ლამის შეარყიონ ჩვენში ჩვეულებრივი სულიერი განწყობილება. ჩვენს გარშემო ჰაერი მოწამლულია ნაციონალიზმით, რომელსაც ასაზრდოვებს და აძლიერებს მსოფლიო იმპერიალიზმის ცენტრები. მე ვიცი, ფსიხოლოგიურათ ბუნებრივია, თუ ასეთ პირობებში, როდესაც ამდენი მტერი ჩვენს ხალხს გარს ეხვევა, ზოგიერთ ჩვენს წრეებში ერთგვარმა რეაქციამ, ერთგვარმა შესუსტებამ ინტერნაციონალურ გრძნობებისამ თავი იჩინა, მაგრამ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, განსაკუთრებული თვალ-ყურის დევნა ჩვენი ფსიხოლოგიისათვის და განსაკუთრებული კლასობრივი კონტროლის გაწევა ჩვენი ნაციონალურ გრძნობებისთვის. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რამ შეარჩინა ძალა დღემდის ჩვენს დემოკრატიას და მეტის მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ იმ ჩვენს ნაცად ინტერნაციონალურ პოლიტიკას, რომელმაც ამდენი პირი ააცდინა ჩვენს ხალხს და რომელმაც სული ჩაუდგა ჩვენს ერს.

ჩვენი მუშა უნდა გრძნობდეს, რომ დადგა ხანა როცა ევროპაში იწყება ის დიადი საქმე, რომელიც გაანთავისუფლებს კაცობრიობას კაპიტალიზმის უღლისაგან. დგება ხანა, როდესაც დემოკრატიის გამთიშველი და გამანადგურებელი ძალები ისპობა, და ჩვენს მუშათა კლასს გზა ეხსნება მსოფლიო მუშათა მოძრაობასთან გასაერთიანებლათ. ახალი ძალებით, ახალი იმედებით გაბრწყინვებული უნდა აღდგეს ინტერნაციონალი.

ინტერნაციონალმა გაიარა 2 ხანა. პირველ ინტერნაციონალს ჰქონდა იდეიური და ორგანიზაციული მთლიანობა, ხოლო მასიურ მოძრაობაში ფესვ გამდგარი არ იყო. ეს იყო ტეზა. მეორე ინტერნაციონალს თვითეულ ქვეყანაში მასიურ მუშათა მოძრაობაში ფესვები გამდგარი ქონდა, მაგრამ აკლდა მთლიანობა, გამაერთიანებელი ორგანიზაცია და პოლიტიკა. ეს იყო ანტიტეზა. მესამე ინტერნაციონალი იქნება სინტეზი მათი, ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატში ფესვ-გამდგარი და იმავ დროს თავიდან ბოლომდე შედუღებული, ორგანიზაციონულად მჭიდროთ გაერთიანებული, ერთი აზრით გამსჭვალული და ერთი ხელმძღვანელობით დაგვირგვინებული. მასზე ვამყარებთ მთელ ჩვენ იმედებს. მისი გზა არის დემოკრატია, მისი მიზანი კი სოციალიზმი. და ჩვენი მუშათა კლასი კარგათ გრძნობს მის გამარჯვების აუცილებლობას. და როცა ეს ინტერნაციონალი მსოფლიო მოძრაობას სათავეში ჩაუდგება, ჩვენი მუშათა კლასი ღია გულით ეტყვის მას: აი ამ საზღვრამდე დემოკრატიულ რესპუბლიკამდე მე მოვიტანე ჩემს პატარა ქვეყანაში დემოკრატიის წმინდა საქმე ჩემი ძალებით. ამიერიდგან კი, როდესაც დადგა ხანა საერთაშორისო პროლეტარიატის მძლავრი გაღვიძებისა, ინტერნაციონალთან ერთად ვივლი საბოლოო გამარჯვებამდე. (ხანგრძლივი ტაში. დელეგატები ფეხზე დგებიან და ორატორს ოვაციას უმართავენ).

# საქართველოს პარლამენტი

**26 ნოემბრის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.**

პარლამენტმა წარმოდგენილი დღის წეს-რიგი უკამათოდ დაამტკიცა. მიიღო აგრეთვე წინა სხდომაზე მიღებულ კანონების საბოლოო ტექსტი.

**კანონ პროექტი სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებისა.**

მომხსენებელია დ. ონიაშვილი. მოქ. პარლამენტის წევრნო, საქმე შემდეგშია: თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია სამკურნალო წყლებით, აბანოებით, ტალახებით. ამათ გარდა სამკურნალო მნიშვნელობისა კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს არის ეროვნული განძი, სიმდიდრე, მიუხედავათ ასეთი საგანძურისა, ჩვენი ხალხი მაინც მიდიოდა სამკურნალოთ საზღვარ გარეთ. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი აბანოები და სამკურნალო ტალახები არ იყო მოწყობილი, ის ჰქონდათ ხელში კერძო პირებს, ამ კანონ-პროექტის ძალით ყველა ასეთი წყლები, აბანოები ტალახები უნდა გადავიდეს ხალხის ხელში და გამოცხადებულ იქნას სახელმწიფოს კუთვნილებათ; თუ როგორ ჩამოერთვას ეს მამულები კერძო პირთ, ამის მოწყობა-მოწესრიგება ევალება მიწათ-მოქმედების მინისტრს. მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს, რომელიც 6 მუხლისაგან შესდგება, მისი შინაარსი ასეთია: ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული, აბანოები, წყაროები და ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოწყობისათვის საჭირო ადგილები გამოცხადებულ იქნას სახელმწიფოს კუთვნილებათ, ამ აბანოების, წყლების და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა ენდობა მიწათმოქმედების მინისტრს საქმით უწყებასთან შეთანხმებით, მიწათმოქმედების მინისტრს ენდობა აგრეთვე მიღება სახელმწიფო კუთვნილებათ ჩამორთმეულ მადნეულ აბანოების, წყლების ტალახების და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა, განსაზღვრა იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოების, წყლების და ტალახების გარშემო ადგილების პატრონებს შენობისა და მათ მიერ გაკეთებულ მოწყობილებების საფასურად და აგრეთვე აბანოების, წყაროების და ტალახების გარშემო მდებარე ადგილების საფასურად, თუ ესენი ქალაქშია, ან და თუმცა სოფლად, მაგრამ შედის იმ ნორმაში, რომელიც ამიერ-კავკასიის სეიმის 7 მარტის 1918 წ. კანონის ძალით დატოვებული აქვს, ან დარჩება მამულის პატრონს, კურორტების მოვლა-პატრონობა, მოწესრიგება ევალება მიწათმოქმედების მინისტრს საქმით უწყებასთან შეთანხმებით. ყოველივე ხელშეკრულება, რომლითაც იჯარით გაცემული გამოდგება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

ლეო შენგელაია (ს. რ.). ჩვენი ფრაქცია კანონის დედა აზრს იზიარებს, მაგრამ არის ორი მუხლი, რომლის მიღება ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია ჩვენს ფრაქციას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი [illegible] ხოვთ, რომ ტალახები, აბანოები და სხვა სამკ[illegible] ჩამოერთვას მათ პატრონებს. გამოსყიდვის სასარგებლოდ შეიძლება მოიყვანოთ გოლოდ ის მოსაზრება, რომ იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც უნდა ჩამოერთვას მამულები დიდია და მოსალოდნელია მათი აჯანყება და ეს გარემოება რესტავრაციას ხელს შეუწყობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამის საშიშროება და საფრთხე აღარ არის, რადგანაც იმ პირთა რაოდენობა, რომლებთაც უნდა ჩამოერთვას იმდენათ მცირეა, რომ არავითარი რესტავრაცია არ მოყვება. შემდეგ ორატორი ეხება საერთოდ ნაციონალიზაციას და გამოსთქვამს ნაციონალიზაციის საწინააღმდეგო აზრს. აბანოები წყაროები და სხ. არ არის შედეგი კაპიტალისტური განვითარებისა და ამიტომ წინააღმდეგნი ვართ მათი გამოსყიდვისაო.

თ. ღლონტი (ს. ფ.) აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ქალაქის მუშებს ასეა თუ ისე რაღაცეები მიეცა და სოფლის გლეხებს კი არაფერი რგებიათო, საჭიროა სოფელს ყურადღება მიექცეს, თორემ იქ ისედაც ძლიერია ანტი-სოციალისტური მიდრეკილება და ამ კანონ-პროექტის განხორციელებით უფრო გაძლიერდება ეს ანტი-სახელმწიფოებრივი და ანტი სოციალისტური მიდრეკილება. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია მხარი დაუჭიროთ გამოსყიდვას. ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენს მთავრობას არ შეუძლია რამოდენიმე მანეთი გაიღოს სამკურნალო წყლების, ტალახების და აბანოების გამოსასყიდავათ. (ხმები: მაშ წავართვათ?) დიახ, უნდა წავართვათ, მათ უკვე აიღეს იმდენი, რამდენიც დახარჯული აქვთ და ზედმეტიც. (ხმები: ეს ხომ ბოლშევიკურია.) ბ—ნებო, ბოლშევიზმმა რაღაცა მისცა ხალხს და ჩვენ კი არაფერი მიგვიცია. ჩვენ მოვითხოვთ ეს კანონ-პროექტი უკანვე დაუბრუნდეს კომისიას.

რ. გაბაშვილი. მე იმიტომ გამოვედი, რომ აღმენიშნა ერთგვარი ულოგიკობა მიწის ჩამორთმევის დეკრეტის და ამ კანონ პროექტის შორის. მე ვამბობ, რომ თუ ამ შემთხვევაში მართალია სამინისტრო და ს.-დემოკრატიული ფრაქცია, მაშინ იმ შემთხვევაში მტყუანი ყოფილა. მე მოვითხოვ, რომ იმ მემამულეებს, რომლებსაც ჩამოერთვათ მიწა უფასოთ, მიეცეთ საფასური.

რ. არსენიძე (ს. დ.) წინა მოლაპარაკე ორატორები ბევრ რამეს დაგვიდევენ: ზოგმა მარქსიზმი დაგვიწუნა, ზოგმა წინანდელ მიწის კანონის და ამ კანონ-პროექტის შორის ულოგიკობა დაინახა. მათ ვერ გაურკვევიათ თუ რატომ არის აქ ასეთი განსხვავება. მათ მხოლოდ აღიარეს ერთად ერთი პრინციპი: ვისაც აქვს წაართვი. ეს არის მესჩანური შეხედულება და საკითხის მესჩანურად გადაწყვეტა. ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები რუსეთში და თქვენ ყველამ კარგათ იცით, თუ რა ბედი ეწვია რუსეთს. თუ თქვენს ლოღიკას გავყვებით, ბ ნო, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა ასე: რატომ უნდა ჩამოვართვათ მარტო აბანო და არა სახლი, ქარხნები და სხვა? ეს ლოღიკა რ. გაბაშვილმა ბოლომდე დაიყვანა და სთქვა, რადგანაც ასეა, სახლებიც უნდა ჩამოვართვათ პატრონებს. დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს რომ მოგვეხდინა— (სახლები და ქარხნები ჩამოგვერთმია) გამოიწვევდა ცხოვრების სავსებით არევას. არევას მარქსიზმი იმას კი არ მოითხოვს, რომ, რაც მოგვესურვება ის გავაკეთოთ, არამედ გააკეთო ის, რისთვისაც ცხოვრების წიაღში ნიადაგი უკვე მომზადებულია: მარქსისტმა უნდა იმოქმედოს დროის და გარემოების მიხედვით. მართალია, მიწები ჩვენ მემამულეებს უფასოთ ჩამოვართვით. ეს იმიტომ, რომ ის წოდება მაინც კვდებოდა და თუნდაც რომ ფული მიგვეცა, ამას ქეიფში გაფლანგავდა და არც ერთ კაპეიკს არ მოახმარებდა მომავალი წყობილების შექმნას. ის კლასი ქრებოდა და სოციალდემოკრატიამ ამ გარემოებას მხოლოდ ხელი მოაწერა. აქ ლაპარაკობდნენ ორატორები ზოგიერთ წარმოების გამოსყიდვის წინააღმდეგ და სულ არ უწევდნენ ანგარიშს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას: რა ხანაში ვიმყოფებით, რაზე გვინდა ავაგოთ ჩვენი სახელმწიფო? კონფისკაცია მოვახდინოთ სამრეწველო დარგების, ქარხნების და სხვ. თუ ჩვენი სახელმწიფოებრივი მოქმედება შეუფარდოთ არსებულ ეკონომიურ პოლიტიკურ ურთიერთობას და ისე ვიმუშაოთ? რათ არ უსვამთ თქვენს თავს კითხვას: შეუძლია თუ არა საქართველოს სახელმწიფოს ყველა მრეწველობა ხელში აიღოს, თუ კერძო პირის ინიციატივის საშუალებით უფრო აღორძინდება წარმოება და გამაგრდება ახალ წყობილების საფუძველი?

მე სრულიად არ მაინტერესებს კაპიტალისტების მოგება და გამდიდრება. მაგრამ თუ წარმოება არ აღორძინდა და შესაფერი წინმსვლელობა არ მიეცა,

ადან მოუვა გლეხს საქონელი, საიდან აიწევს მუშის ხელ ფასი? ამიტომ ჩვენი ვალია მრეწველობის, წარმოების აღორძინებას ხელი შეუწყოთ. დღეს ხომ ჩვენ სოციალიზმს არ ვანხორციელებთ. არც არის საამისოთ პირობები მომზადებული, მაგრამ როცა დაკრავს ჟამი კაპიტალიზმისა, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ არცერთი პარტია ჩვენ წინ არ გაგვისწრებს სოციალიზმის დამყარებაში. მაგრამ სანამ ეს დრო არ დამდგარა, მანამ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ისეთი საქმეები, რომლებიც საერთოდ ნიადაგს უმზადებს სოციალიზმის მოახლოებას. ჩვენ ვიცით თუ რა შედეგი მოჰყვება სამრეწველო დარგების, ქარხნის და სხვ. დღევანდელ პირობებში ჩამორთმევას. ამას მოჰყვება მხოლოდ წარმოების სრული გაქრობა, რადგან კერძო ინიციატივას არ აქვს იმის იმედი, რომ მას არ წაართმევენ ხვალვე ქონებას, იგი ჩაკვდება. და თქვენ ამით იმდენს მისცემთ გლეხებს და მუშებს, რამდენიც რუსეთში მისცეს ბოლშევიკებმა: ე. ი. სიტყვით ყველაფერს, საქმით კი არაფერს. დღეს ისტორიული აუცილებლობა მოითხოვს ფეოდალიზმის მოსპობას და მრეწველობის აღორძინების ხელის შეწყობას. სადაც მრეწველობა არ არის, იქ შესაძლებელია განვითარდეს მხოლოდ ლუმპენ პროლეტარი და მტაცებლობას ფართე ხასიათი მიაღებინოს. ჩვენ არ შეგვიძლია ამას პროგრესიული მოვლენა ვუწოდოთ, რადგანაც, ის მიგვიყვანს ეკონომიურ დაქვეითებამდე და სახელმწიფოს დანგრევამდე. გლეხურა მამაპაპური მეურნეობისთვის ვერ გვიხსნის პირიქით, სანამ გლეხობა საერთოდ მოქალაქეობრივ ობორებაში არ ჩაებმება, მანამ სახელმწიფოს მკვიდრი ნიადაგი არ ექნება. ჩვენ ამ ნიადაგზე ვდგევართ და ამიტომ ვემხრობით წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

(დასასრული იქნება)

# მუშათა წერილები

### რა განსხვავებაა?

მრეწველობის განვითარებამ, კაპიტალისტურმა ურთიერთობამ და მათ შორის არსებულმა მკაცრმა წინააღმდეგობამ, წარმოშვა თანამედროვე საერთაშორისო ომი, რომელმაც კაცობრიობა ცეცხლის ალში გახვია და დაანგრია და გაანიავა მის მიერ შექმნილი კულტურა, რომელსაც ის მრავალ საუკუნოების განმავლობაში სქმნიდა. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წიაღშივე წარმოიშვა ის მძლავრი და დიადი მუშათა კლასის მოძრაობა, რომელიც დანგრევით ემუქრება კაპიტალისტურ წყობილებას და პასუხს მოითხოვს მისგან იმ საშინელ სისხლის ღვრისათვის, რომელიც იმპერიალისტებმა გამოიწვიეს. ომმა ყველაზე უწინ რუსეთის იმპერიალიზმი დაანგრია, რასაც შედეგათ მოჰყვა დიდი რევოლიუცია. რუსეთმა ყველაზე უწინ დაჰყარა ფარხმალი, რადგან ის მეომარ კოალიციაში ყველაზე სუსტი და ორგანიზაციულად მოუწყობელი აღმოჩნდა. ამას უნდა მოჰყოლოდა სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების მუშათა კლასის გამოხმაურება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მაშინვე არ მოხდა, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ რუსეთი დაინგრა და ანარქიის ცეცხლში გაეხვია. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ამა თუ იმ მებრძოლ სახელმწიფოების მუშათა კლასის გულქვაობაში და მის გაშოვინისტებაში,—არამედ სახელმწიფოების იმ ობიექტიურ პირობებში და განვითარების იმ სხვადასხვაობაში, რომელშიაც მუშათა კლასს უხდებოდა ცხოვრება. ამით აიხსნება სწორეთ ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლიუციამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა სხვა ქვეყნის მუშებში, ვინაიდან იქ კიდევ ჯერ არ იყო შერყეული იმპერიალიზმი, და მათ მაშინ კიდევ საკმაო ძალა და ენერგია შესწევდათ ერთმანეთის ხოცვა ჟლეტისათვის. მაგრამ, ეს ენერგია დაუშრეტელი არ იყო, მასაც უნდა ჰქონოდა თავის განვითარების და მოქმედების დასასრული და ამ დასასრულის ზარმა დღეს გერმანიაში დარეკა. იმპერიალისტური გერმანია დაინგრა და მას მოჰყვა დიდი რევოლიუცია, რომელიც ელვის სისწრაფით ედება ავსტრიის, იტალიას და სხვა სახელმწიფოებს. ამ სახელმწიფოთა რევოლიუციებში ყველაზე ძლიერი და იდეალური გერმანიის რევოლიუციაა, ვინაიდან მას ხელმძღვანელობს უძლიერესი სოციალდემოკრატიული პარტია, რომელიც ყველა დანარჩენ სახელმწიფოების პარტიებზე მაღლა სდგას თავისი ორგანიზაციით, პრაქტიკით და თეორიით და რომელიც საკმაოთ გამობრძმედილია კლასთა ბრძოლაში. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გერმანიის რევოლიუცია არ წავა იმ გზით, რომელითაც რუსეთის რევოლიუცია წავიდა; გერმანიის დემოკრატია არ გაიმეორებს იმ ექსპერიმენტებს, რომლსაც რუსეთში ჰქონდა ადგილი. ამის ნიშნები ეხლავე სჩანს: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ორ ფრაქციათ იყო გაყოფილი,—უკანასკნელ ცნობების მიხედვით შეერთებულა და მიზნათ საერთო მოქმედება—ძველი წყობილების ნგრევა და ახალის შენება დაუსახავთ. მათ უკვე გაგზავნეს თანასწორი წარმომადგენლებით მთავრობაში და მართვა-გამგეობაა დღეს ფაქტიურათ მათ ხელშია, ამ მთავრობის გვერდით დაარსდა მუშა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. ბევრ ბოლშევიკურათ მოაზროვნეთ ჰგონიათ, რომ რაკი იქ საბჭოები დაარსდა, რევოლიუციას თითქოს ბოლშევიკური ფორმაც მიეღოს, მაგრამ მწარედ სცდებიან. ამ საბჭოების როლი რევოლიუციაში თითქმის იგივეა, როგორიც მუშათა და ჯ.-კ. საბჭოებს როლი იყო რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანებში. ეს საბჭოები ნდობას უცხადებენ მთავრობას და დახმარებას უწევენ მათ შემოქმედებითი მუშაობაში. მიუხედავათ იმისა, რომ იქ პროლეტარიატი საკმაოთ მრავალრიცხოვანია,—სოციალდემოკრატიას, რუსეთის ბოლშევიკებივით, მათი დიქტატურა არ გამოუცხადებიათ; გერმანიის ყველა დემოკრატიული ძალები გაერთიანებულია საერთო ლოზუნგების გარშემო და ემზადებიან დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის, რომელიც თავისი ავტორიტეტული ხმით დაადასტურებს და ჩამოახსამს იმ წყობილებას, რომელიც შეეფერება გერმანიის პროლეტარიატისა და წარმოების განვითარებას... ასეთი წყობილება-კი, თქმა არ უნდა, სოციალისტური იქნება. რომლისთვისაც ევროპაში ნიადაგი კარგა ხანია მწიფდებოდა.

მაგრამ ის, რაც შესაძლებელია ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში,—შეუძლებელია რუსეთში და განსაკუთრებით აზიაში. ევროპამ თუ საკმაოთ არა, რამოდენიმედ მაინც განვლო ის ეტაპები, კაპიტალისტური განვითარების ის საფეხური, რომელიც აუცილებელია სოციალისტურ სამეფოში გადასასვლელათ. კაპიტალიზმის განვითარებისათვის ევროპას მრავალი საუკუნოები დასჭირდა; კულტურული და ტეხნიკური განვითარება იქ ჩქარის ნაბიჯით წავიდა, რასაც შედეგათ მოჰყვა საზოგადოებრივი დიფერენციაცია და კლასთა ჩამოყალიბება. კლასობრივმა ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო, ანტაგონიზმი კაპიტალიზმსა და მუშათა კლასს შორის გამწვავდა, და ორი კლასი ერთმანეთს დაუპირდაპირდა, რომელნიც სათანადო ორგანიზაციებში დაირაზმნენ. მეცნიერული სოციალიზმი, რომელსაც მარქსმა ჩაუყარა საძირკველი მით განსხვავდებოდა სხვა უტოპიურ სოციალიზმისაგან, რომ მარქსი მთელ თავის იმედებს კაპიტალიზმის განვითარებას და მის წიაღში წარმოშობილ მუშათა კლასზე ამყარებდა, რომელიც ჰქმნიდა მეცნიერებას, კულტურას, სიმდიდრეს; ამ კლასის გაძლიერებაზე იყო დამოკიდებული საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია, მისი გარდაქმნა; და მართალიც იყო დიდებული მასწავლებელი, როცა ამბობდა: „მუშათა განთავისუფლება—თვით მუშათა საქმეაო“.

როგორც ზემოთ ვსთქვით, დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტურმა წარმოებამ თუ მთლად არა, რამოდენიმეთ მაინც მოამზადა ის ნიადაგი, რომელიც აუცილებელია სოციალისტურ წყობილებაში თანდათან გადასასვლელათ. იქ პროლეტარიატის დიქტატურა და მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება უფრო მიზან-შეწონილია, ვიდრე რუსეთში. რუსეთმა მხოლოდ ეხლა შესდგა ამ განვითარების გზაზე, მას მხოლოდ ეხლა უნდა დაეწყო ამ გზით სიარული. და სანამ ის ამ მიმართულებით არ წავა, სანამ რუსეთი კაპიტალისტურ ეტაპებს არ გაივლის და საწარმოვო ძალთა განვითარებას არ ჩაეყრება საძირკველი მანამდის შეუძლებელია რუსეთის სოციალიზმზე ლაპარაკი. ასეთი უტოპიური შეხედულების და ანარქისტულ-ბოლშევიკურს ნაძალადევად გადატრიალებას რუსეთის ობიექტიურ პირობების სინამდვილემ საკმაოთ ფარდა ახადა. გაველურებული და აოხრებული რუსეთი, რომელსაც ის ეხლა წარმოადგენს, ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუფერებელ ნაბიჯების გადადგმას და პოლიტიკურ ალღოს აულებლობას შედეგათ მოჰყვება საშინელი მარცხი, რომელიც გამოიწვევს დემოკრატიულ ძალთა დაქუცმაცებას და დამარცხებას.

საერთაშორისო სოციალისტების ბელადი, კარლ კაუცკი, თავის შესანიშნავ ნაწარმოებში ასე აგვიწერს იმ პირობებს, მელშიდაც უნდა მოხდეს სოციალური რევოლიუცია: „მხოლოდ მაშინ მიაღწევს პროლეტარიატი გამარჯვებას, როდესაც ის უმაღლეს წერტილამდე განავითარებს ყველა იმ თვისებებს, რომელიც საჭიროა მის ბატონობისთვის, და მაშასადამე, სოციალურ რევოლიუციის მოხდენაც შეუძლებელია მანამდის, სანამ არ მომზადდება საკმარისად არამც თუ ეკონომიური, არამედ ფსიხოლოგიური ნიადაგიც, რომელიც აუცილებელია სოციალისტურ საზოგადოებისათვის“.

ეს სიტყვები ღრმად უნდა აღიბეჭდოს სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლების გონებაში, და განსაკუთრებით კარგათ უნდა ახსოვდეს იმათ, რომელნიც თავიანთ თავს მარქსისტებათ მოაქვთ და წამ და უწუმ მას ეფიცებიან...

ქ. კიღაძე.

(ხურათი)

თეთრი ღამეა, ღამე ღვთიური,
ცისა ლაჟვარდში მისცურავს მთვარე
ისმის ლილინი ტკბილ-მშობლიური,
მღერის მეურმე გულ-მგლოვიარე.

მღერის მეურმე და ეს ურმული
აღვიძებს ჭალებს, აღვიძებს ტყესაც;
ყველაფერია ურმულში თქმული:
სოფლის დაღლხენაც, სოფლელის კვნესაც

გ. ქუჩიშვილი

# ახალი ამბები

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თავის პირველ სხდომაზე ც. კ. აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე—ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგები—ირაკლი წერეთელი და ნოე რამიშვილი, პასუხის მგებელი მდივანი—ალექსანდრე ლომთათიძე, ხაზინადარი—ვასილ წულაძე. ცენტრალურ კომიტეტის ბიუროში შედიან პრეზიდიუმის წევრები და სარედაქციო კოლეგიის წევრი—რ. არსენიძე. საზღვარ-გარეთ მიემგზავრებიან ც. კ. წევრები—ნ. ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი.

✦ განათლების მინისტრის ცირკულიარი. სახალხო განათლების მინისტრმა ყველა სასწავლებლებს ახალი ცირკულიარი დაუგზავნა, რომლის ძალითაც სასწავლებლების ყველა იმ მოხელეს, რომელსაც რაიმე პრივილეგია ეძლეოდა სამსახურის გამო, მოესპოს და უფლებრივად გაუთანასწორდეს თავის თანამოსამსახურეს.

✦ ნავთი. სასურსათო კომიტეტმა ბაქოდან ოთხი ცისტერნი ნავთი მიიღო. ნავთი ამ დღეებში დაურიგდებათ მცხოვრებთ გირვანქა ოთხ აბაზად.

✦ ოსების შუამდგომლობა. ოსების ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა საქართველოს მთავრობამ თავის ხარჯით გახსნას ცხინვალში ოსური გიმნაზია, სადაც სწავლა ოსურსა და რუსულ ენაზე იქნება, ხოლო ქართულ ენის გაკვეთილებს საპატიო ადგილი დაეთმობა. მინისტრმა ამ შუამდგომლობას შემდეგი რეზოლიუცია წააწერა: ცხინვალში მთავრობის ხარჯით გაიხსნას გიმნაზია იმ შემთხვევაში, თუ სწავლება მხოლოდ ოსურ ენაზე იქნება, ხოლო თუ ოსები ამას არ დასთანხმდებიან, მაშინ თავიანთ ხარჯით გახსნან აღნიშნული გიმნაზია. ყოველ შემთხვევაში მინისტრს საჭიროდ მიაჩნია ეს საკითხი მაისამდე გადადოს, რადგან ცხინვალში ამ ჟამად გადაწყვეტილია მთავრობის ხარჯით პროგიმნაზიის გახსნა.

✦ ლატარია. 25 ნოემბერს, ქალთა კომიტეტის სხდომაზე დაადგინეს, 8 დეკემბერს მოეწყოს მთელ საქართველოში ქართულ ლატარიის დღე, რისთვისაც პროვინციებში გაგზავნიან სათანადო პირთ სალატარიო ორგანიზაციათა მოსაწყობად.

— ლატარიის მთავარმა გამგეობამ ყველა აგენტებს მოწერილობა დაუგზავნა, რათა მათ დეკემბრის 15-მდე გაასწორონ ლატარიის ანგარიშები.

✦ გუმბრის დაცლა. გუმბრიდან ჩამოსულთა სიტყვით, 22 ნოემბრიდან ოსმალებმა დაიწყეს გუმბრის დაცლა. 24 ნოემბერს ქალაქში ოსმალთა ჯარი აღარ ყოფილა. გუმბრში ოსმალთა მმართველობა დარჩა.

✦ ლიკვიდაცია გზათა სამინისტროში. გზათა მინისტრის ბრძანებით მოხდა გაუქმება გზათა სამინისტროს სალიკვიდაციო ნაწილისა და მთელი შტატი ამ ნაწილისა დათხოვნილ იქნა 26 ნოემბრიდან. მათ უნდა მიეცეთ დახმარება თანახმად 1918 წლის 5 ივლისის კანონისა.

✦ კვირას, 1 დეკემბერს, შესდგება მეორეთ, ექიმის თანაშემწეთა კავშირის კრება. განსახილველია: 1) საზოგადოების გაერთვნება, 2) მომავალი დელეგატთა ყრილობა, 3) ჟურნალი „ექიმის თანაშემწე“, 5) მიმდინარე საკითხები და სხ. ამ კრებას რამდენი წევრიც დაესწრება, კანონიერათ ჩაითვლება.

✦ ლექციები. დღეს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) გ. ბაქრაძისა, „სახელმწიფო უფლება“. 2) ინჟ. აღშიბაიასი: „ელექტრონი და ორთქლის ძალა“.

✦ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს, ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტში დანიშნულია ლექციები: სოსნოვსკი „მცენარეთა ცხოვრება“, ჩემოდანოვი „სოციალიზმის ისტორია“. სახალხო უნივერსიტ. განყოფილებაში, მადათოვის კუნძულზე (სამოქალაქო სასწავლებლის ბინა). ვარუნციანი წაიკითხავს ლექციას „მექანიკა“. დასაწყისი საღამოს 6 საათიდან.

✦ გაძარცვა. 27 ნოემბერს ღამით გრიბოედოვის ქუჩაზე 4 შეიარაღებული პირი დაუხვდა ნაფიც ვექილს კულუმლავას და მილიციონერთა სახელით, ვითომდა იარაღის ასაყრელად და გაჩხრიკეს. ჩხრეკის დროს წაართვეს ოქროს საათი, საფულე და 1000 მანეთი ფულად.

✦ კონცერტი. დემოკრატიულ კლუბში (მუშტაიდი), შაბათს 30 ნოემბერს ალ. მაისურაძის ქართული გუნდი გამართავს კონცერტს სამ განყოფილებად ლ. განდურის მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება ყოველ დღე საღ. 5—8 ს-დე.

✦ წარმოდგენა. დღეს, 28 ნოემბერს, ქართ. წრის მიერ სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „სოფლის გმირები“, დასაწყისი 7 ს. ფასები სახალხოა.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 28 ნოემბერს, საღამოს 4 ს. დეპოს მუშების სასადილოში შესდგება დეპოს მუშების ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. პარტიის წევრებს ვთხოვთ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის სასცენო დარბაზში, დანიშნულია ცენტროკლუბის დრამატიულ წრის კრება,

— დღეს, საღ. 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე IV რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, 28 ნოემბერს, ბიუროს ბინაზე საღამოს ხუთ ნახევარ საათზე დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ერთობის ფონის მუშათა კლუბში შესდგება კრება ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებელ კომისიისა. გადასაწყვეტია სერიოზული საკითხები.

# მთავრობაში

26 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: აჭარისა და ოზურგეთის მაზრების საზღვრებზე მოიხსნას ბაჟები ყოველგვარ ნაწარმოებზე, ბაჟი დარჩეს მხოლოდ რკინის გზით გასატან შემოსატან საქონელზე.

მიეცეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში გზათა სამინისტროს კრედიტების ანგარიშში 1500,000 მანეთი ავანსად ნავთის გამოზიდვის საქმისთვის.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

27 ნოემბერი.

### გერმანული პრესის ცნობა.

25 ნოემბ. ცნობაა, რომ გერმანიის სხვადასხვა ადგილას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დემონსტრაციები გაიმართა. საბჭოთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული დამფუძნებელი კრება და, რომ მთავრობა არ უნდა დაემორჩილოს ერთი ჯგუფის დიქტატურას, ან რომელიმე ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს. კენისბერგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოუწოდებს მცხოვრებთ. მოწოდება მიმართავს მუშებს და ჯარისკაცთ და ამბობს: „ძალა კი არ უნდა იყვეს ჩვენი მმართველი, მით უმეტეს პოლიტიკურ უმცირესობის ძალა, არამედ უფლება. თქვენი სადღეთო მოვალეობაა განახორციელოთ ეს უფლება. ნუ დაუშვებთ მას, რომ პოლიტიკურ თხუნვებლებს შეეძლება მიეცეს გამოთხარონ ნიადაგი, რომელსაც ეყრდნობა თქვენი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ამ ხალხს ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვუწოდოთ ანარქისტები და ბოლშევიკები. თუ ვინ არიან ბოლშევიკები, თქვენ შეგიძლიათ ნათლათ დაინახოთ, თუ გადახედავთ რუსეთის უბედურ ძმებს. დაგვეხმარეთ ნიღაბი ავხადოთ ამ მატყუარებს და უძლურ ვყოთ ისინი.

დასავლეთის ფრონტზე მეოთხე არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავის კატეგორიულ რეზოლიუციაში იგივე აზრი გამოსთქვა, რაც ბადენის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც თავის წრიდან გამოჰყო და შეადგინა ბადენის საჰერცოგოს პარლამენტი იმის შემდეგ, რაც ჰერცოგ ფრიდრიხ მეორემ ტახტის მემკვიდრე პრინც მაქსის თანხმობით უარი განაცხადა თავის და შთამომავლობის მხრით სახელმწიფოს მართვის უფლებაზე.

ბერლინში რუსეთის ტელეგრაფის ბიუროს 13 ნოემბრის განმარტების გამო რუსეთის საელჩოს წასვლის შესახებ, ოფიციალურად იუწყებიან, რომ რუსეთის განცხადება, თითქოს შიკრიკს არ ჰქონია პროკლამაციები და ეს მხოლოდ პროვოკაციაა, დამტკიცებულ ფაქტის გამო, ყოველგვარ კრიტიკას მოკლებულია. თვით რუსეთის ელჩმა იოფემ, როცა იგი საელჩომ წარუდგინა მას ფაქტები, ვეღარ უარჰყო გერმანიაში პროკლამაციების შემოტანის ფაქტი. იოფემ, ისე როგორც რუსეთის მთავრობამ, არა ერთხელ განაცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეორე მუხლი, რომელიც უკრძალავს მათ გერმანიაში პროპაგანდის გაწევას, მის მიერ ყოველთვის დაცული იყო. ამ რამდენიმე დღის წინათ კი რადიოტელეგრაფის საშუალებით შემდეგი სიტყვებით მიმართა გერმანიის ხალხს: „როგორც იცით, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეორე მუხლი არ გვიკრძალავდა ჩვენ რევოლიუციონურ პროპაგანდის გაწევას გერმანელებს შორის“.

მიუხედავათ იმისა, რომ იოფეს გამომგზავრება დაჩქარებით მოხდა, რუსეთის იმავე ტელეგრაფის ბიუროს ცნობით, იოფეს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, სათანადო პატივი სცეს, რუსეთში კი ჩვენი გენერალური საელჩო დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს, საელჩოს არქივს და ბარგს კონფისკაცია უყვეს და გაჩხრიკეს.

დროებითი ზავის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ თუ გერმანიის ჯარი დანიშნულ ვადაზე არ დასცილდა საფრანგეთის და ბელგიის ადგილებს, ტყვეთ ჩაითვლებოდა მე 11 მუხლის თანახმად. იმ დაჭრილებზე და ავადმყოფებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა გერმანიის სანიტარულმა რაზმმა უნდა იზრუნოს. ჯარი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება და უკან დარჩება, სამხედრო ტყვეებათ ჩაითვლება. ავათმყოფნი და დაჭრილნი, რომლებსაც არ შეუძლიათ მოგზაურობა, ტყვეთ არ უნდა იქნენ წაყვანილი. საფრანგეთი ამ ჟამად მოითხოვს, რომ ყველა დაჭრილი და ავათმყოფი, რომელიც უკან დარჩა, ჩაითვალოს სამხედრო ტყვეთ. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგება არა მარტო დროებითი ზავის პირობებს, არამედ ყველა იმ პირობას ამ საკითხზე, რომელიც ომის დროსაც იყო. საფრანგეთის მოთხოვნილება მეტათ მკაცრია და ყოველგვარ ადამიანობას მოკლებულა. მთელი გერმანია პროტესტს და გულისწყრომას აცხადებს ამის გამო. გერმანიის ხალხი მიმართავს ნეიტრალურ სახელმწიფოებს და მთელი კაცობრიობის სინიდის.

### ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 26 ნოემბ. ც. ა. კ. ბეჭდითი ბიუროს ბიულეტენი. (დასაწყისი დამახინჯებულია). ნაუენი. 26 ნოემბ. უმაღლეს სარდლობასთან არსებულ აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, სადაც პროტესტს აცხადებს ფრონტიდან დაბრუნებულ რაზმების იარაღის აყრაზე. აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს პოლონეთის იმპერიალიზმის შესაძლებელ საფრთხეს და პროტესტს აცხადებს პოლონეთის მიერ გერმანიის ტერიტორიის ძალით შემოერთებაზე. ინგლისის ჯარი რეინზე წინ მიიწევს. საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა. ლიონი, 25 ნოემბ. ავსტრიის რუმინელებისაგან შემდგარმა ჯარმა მთელი ბუკოვინა დაიჭირა. მცხოვრებნი აღელვებულია. უკრაინაში მღელვარება ფართო ხასიათს იღებს. ჩრდილო და სამხრეთ უკრაინაში აჯანყებაა. კიევის ახლოს გამოჩნდა აჯანყებულთა რაზმი 8000 კაცისაგან შემდგარი. აჯანყებულებმა ყველგან აღადგინეს საბჭოები. უკრაინის ცენტრში სკოროპადსკის წინააღმდეგ გამოვიდა პეტლიურა, რომელიც გაიდამაკებთ ხელმძღვანელობს.

პეტლიურამ დაიჭირა ეკატერინოსლავი და ლოზოვაია. პოლტავას დასაჭერათ ბრძოლა სწარმოებს. სკოროპადსკის დასახმარებლათ კრასნოვის რაზმი მოდის. უნეჩა, 25 ნოემბ. ერ. საბჭოთა ჯარმა სტაროდუბი დაიჭირა, ბურჟუაზია გაიქცა. მუშები ჯარს წითელი დროშებით შეეგება. კურსკი, 26 ნოემ. ხარკოვში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა მოიწვიოს ხარკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. ქარხნებში იმართება მიტინგები და საბჭოს არჩევნები დაიწყო. მუშათა საოლქო კომიტეტმა მოიწვია სრულიად უკრაინის მუშათა ყრილობა. ყრილობა განიხილავს მთავრობის ორგანიზაციის საკითხს, რუსეთთან შეერთების და პროლეტარიატის ორგანიზაციის... (გამოტოვებულია და დამახინჯებულია)...სკოროპადსკის ხელში იყო. მის უმთავრეს ძალას ოფიცერთა რაზმები შეადგენს. კიევში გაფიცვებია. დაასაფლავეს ამას წინათ დახვრეტილი მუშები და სტუდენტები. ლუგანსკის მუშები ბოლშევიკურ ხასიათის დემონსტრაციებს ახდენენ. კრასნოვის რაზმმა ტყვიისმფრქვევლები დისდგა სახლის თავებზე. გამოცხადებულია საალყო წესები, ქალაქში ჩხრეკაა. მრავალი დახვრიტეს. ლუგანსკში 20 ნოემბერს საერთო გაფიცვა მოხდა. პსკოვი, 22 ნოემბ. მუშათა კომიტეტი იუწყება, რომ ძალა-უფლება პეტლიურას ძველ საბჭოს ხელშია. პოლიციელთ იარაღი აყარეს. პეტლიურას ჯარის შემოსვლამდე ოფიცერთა მოხალისე რაზმმა როსტოვისკენ დაიხია. მოსკოვი, 25 ნოემბერი. იახში 9 გენერლის მიერ დაარსებულ ჯგუფს მიზნათ აქვს რუსეთის აღდგენა და გაერთიანება. უზუნკუ 25 ნოემბ. ყაზახებსა და ბაშკირებს შორის უთანხმოებაა. ბაშკირები უარს აცხადებენ წითელ არმიის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ნიადაგზე მოხდა უთანხმოება, რომელიც სროლით დასრულდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა ჩვენმა ჯარმა და .. (დამახინჯებულია) ყაზახებმა და ბაშკირებმა დაჰკარგეს 900 კაცი. სამარა, 25 ნოემ. უფის ორგანიზაციამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ესერების ცდამ, ჯარის დახმარებით აღადგინონ დამფუძნებელი კრება, უნაყოფოთ ჩაიარა და შეგროვებულებისა და ბურჟუაზიული ელემენტების ... რამდე მიგვიყვანა. (?) ამიტომ უფის ... კის ორგანიზაცია ... ჰყავს მთავრობას იმდენათ, რამდენათ საბჭოს მოქმედება შეთანხმებული იქნება მშრომელთა ინტერესებთან.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

### უკრაინის მდგომარეობა.

კიევში მყოფ გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობებით, კიევში შედარებითი სიწყნარეა. მხოლოდ უკრაინის საზღვარზე მძვინვარებს ანარქია, რომელსაც ხელს უწყობენ სახლში მიმავალი სამხედრო ტყვეები. იმედი არის, რომ ამ მოკლე ხანში აღდგენილი იქნება რკინის გზით მიმოსვლა კიევიდან ვარშავამდის. უმთავრესი ნაწილი რკინის გზებისა დაჭერილია გერმანელ და უკრაინელ რაზმების მიერ.

გუშინ მიღებულ რადიოს ცნობით მოკავშირეებმა იცნეს გეტმანი სკოროპადსკი მთავრობის წარმომადგენლად. ამ მოკლე ხანში უკრაინაში გაიგზავნება მოკავშირეთა ჯარები, იქ წესიერების აღსადგენად. შეთქმულია გერმანიის ჯარი წავა სამშობლოში, მოკავშირეთა ჯარების მისვლისთანავე.

### მოკავშირენი ოდესაში.

ოფიციალურად არ არის ცნობა, რომ მოკავშირენი ოდესაში იყვნენ, მაგრამ ადვილი საფიქრებელია, რომ ისინი უკვე იქ იმყოფებიან.

### ჯარის დაბრუნება.

26 ნოემბერს გაემგზავრა ფოთიდან გემი გერმანელი ჯარისკაცებით. დღეს მოელოდებიან სევასტოპოლიდან გემს „როდოსტო“ ს, რომელიც წაიყვანს გერმანელ ჯარისკაცებს სევასტოპოლში.

### გერმანული ჯარი ოსმალეთში

ოსმალეთში მყოფი გერმანელი ჯარის-კაცები უნდა გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში 30 ნოემბ. ეს ხელშეკრულება დაიდო მაშინ, როდესაც დროებითი ზავი მარტო ოსმალეთთან იყო ჩამოგდებული, ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა, დროებითი ზავი გერმანიასთანაც არის და ადვილი შესაძლებელია მოკავშირეებმა ეს დრო გაადიდონ.

### გერმანიაში.

გერმანიიდან მოსული ცნობები საერთოდ დამაკმაყოფილებელია, წეს-რიგი არსად არ ირღვევა, დემობილიზაცია დასავლეთ გერმანიაში კარგად და მშვიდობიანად მიმდინარეობს. ჯარს, რომელიც მიემგზავრება სამშობლოში, აძლევენ სამი დღის საკვებ საჭმელს. მცხოვრებთა უმეტესობა მოითხოვს დამფუძნებელ კრების მოწვევას. იყო განზრახვა ბერლინის ჯარისკაცთა საბჭოს მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ პროვინციის საბჭოები ამას წინააღუდგნენ და თვით ბერლინის საბჭომ გამოუშვა მოწოდება, სადაც აღნიშნული იყო, რომ მთელი ძალა-უფლება ებერტის მთავრობის ხელში უნდა იყოსო.

# წლიური კრება

ლანჩხუთის ფილიალურ განყ. მასწავლებელთა კავშირისა.

გასულ თვის ბოლოს ქალაქ ლანჩხუთში შესდგა წლიური კრება ლანჩხუთის ფილიალურ განყოფ. მასწ. კავშირისა. კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა უმრავლესობა, გაიხსნა 1-ლ საათზე. მასწ. არონ ჩხაიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
2. ქუთაისის სამაზრო სიეზდის მიერ მიღებულ დადგენილებათა მოსმენა.
3. მასწავლებელთა ჯამაგირების და პენსიის შესახებ.
4. პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ შესახებ.
5. ოცხელისაგან ცნობა ლანჩხუთის ფილიალურ განყ. მასწ. კავშირის გამგეობას ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ („დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწ.)
6. საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ და მიმდინარე საკითხები.
7. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობის დავალებით წლიურ ანგარიშის და საერთოდ გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი მასწ. ჩომახიძე, რომელიც თავის მოხსენებაში აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს და უსახსრობას, რომელიც ხელს უშლიდა გამგეობის მეტ ნაყოფიერ მუშაობას. გამგეობას 1917—1918 წ. საანგარიშო წელს ჰქონია 9-ჯერ სხდომა, რომლებზედაც განუხილავთ სხვადასხვა საკითხები. კავშირის ზოგ წევრებს ვერ შეუსრულებიათ საწევრო გადასახადი რადგან ძლიერ აფერხებდა კასის მდგომარეობას.

კრებამ წინადადება მისცა მომავალ გამგეობას მიიღოს ყოველი ღონისძიება და დროზედ შეკრიბოს საწევრო გადასახადები და მასთან მთელი უბნის მასწავლებლებს დღევანდელ ჩიუწერის წევ-

რით კავშირში. კრება ამტკიცებს ანგარიშს ზოგიერთ შეკითხვების შემდეგ.

ქუთაისის საგუბერნიო ყრილობაზე მიღებულ დადგენილებათა შესახებ მოხსენებას უკეთებს კრებას მასწ. ნიკიტა იმნაიშვილი, რომელიც მუხლობრივ აცნობს კრებას საგუბერნიო ყრილობაზე მიღებულ დადგენილებებს და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საგუბ. ყრილობას ვერ დაესწრო გურიის ფხიზელი მასწავლებლობა, რასაც მიაწერს მასწავლებელთა ნივთიერ ხელ მოკლეობას. კრება სავსებით იზიარებს საგუბერნიო მასწ. ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს, გარდა ერთი მუხლისა, რომელიც ეხება მასწავლებელთა დანიშვნა-დათხოვა გადაყვანას. ამ კითხვის შესახებ კრებამ მრავალ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უერთდება საგუბერნიო ყრილობის მიერ გამოთქმულ რეზოლიუციას: ე. ი. „მასწავლებელთა დანიშვნა, დათხოვა და გადაყვანის საქმე მიენდოს იმ ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე არჩეულ მუნიციპალიტეტებს, (ერობებს) რომლებიც უახლოესი გამომხატველი და დამცველი არიან ფართო მასსის—დემოკრატიის ინტერესებისა“.

ჯამაგირების დაგვიანების და მის მოწესრიგების შესახებ კრებამ დაავალა მომავალ გამგეობას შესაძლებელს ფარ[illegible]ში მიაწესრიგოს ის დაბრკოლება[illegible] [illegible] რომლის გამო მასწავლებლობა ჯა[illegible]ების რამოდენიმე თვეების მიუღებ[illegible] გამო უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებიან

პენსიის საკითხი სერიოზულ მნიშვნელობის საკითხად აღიარა კრებამ და მის შესახებ კამათი შესწყდა, რადგან ეს საკითხი სახალხო განათლების სამინისტროში და უმაღლეს ინსტანციებში უნდა გადაწყდეს.

პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ შესახებ მოხსენებას აკეთებს მასწ. სტეფანე ნიკოლაიშვილი რომელიც აღნიშნავს ჟურნალის სერიოზულ მნიშვნელობას, როგორც ერთად ერთ პედაგოგიურ ორგანოს, მასწავლებლებთათვის და მის დროებით შეჩერების მიზეზებს. კრება ერთხმად ღებულობს წინადადებას: „დაევალოს თვითოეულს მასწავლებელს ლანჩხუთის ფილ. განყ. შეიძინონ ხსენებული ჟურნალი და ამ თავითვე ჯამაგირების მიღების წინ დასტოვონ ფულების დამრიგებლებთან ნახევარი წლის ჟურნალის ხელის მოსაწერი 10 მანეთი.

ოცხელის ცნობის შესახებ ქუთაისიდან ლანჩხუთის ფილიალურ განყ. მასწ კავშირის გამგეობისადმი, რომ მას ოცხელს აქვს თავის გამოცემანი „დედაენის“ I და II ნაწილი, რომლის შეძენას ის ურჩევს მასწავლებლებს, კრებამ დაადგინა: „ვინაიდან ჩვენ გვაქვს მოწინავე პედაგოგებისაგან ახლად შესწორებული და შევსებული ი. გოგებაშვილის დედა-ენის I და II ნაწილი, გამოცემული ქ. შ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისაგან, რომელიც ღირსებით დღეს მაღლა სდგას ყველა არსებულ მსგავს სახელმძღვანელოებზე, ფხიზლად შეხედონ მასწავლებლები სახელმძღვანელოებზე და დასტოვონ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, სკოლებში სახ[illegible]ლოთ.

[illegible] გადასახადი კრებამ 10 მანეთამდის გაადიდა 1918—1919 სასწ. წლებში. დასასრულ მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. კრებამ მადლობა გადაუხადა ძველ გამგეობის წევრებს უსასყიდლო შრომისათვის და აირჩია ახლები. არჩევნების წინ კრება გაიყო ორ ფრაქციათ. სოციალდემოკრატ ამხ. პროპორციის მიხედვით დასახელეს გამგეობაში 4 კანდიდატი, რაიც არ მოეწონათ სოც.-ფედერალისტებს, თუმცა საყვედური მათი უსაფუძვლო იყო. ფრაქციულ კინკლაობას მოკლებულ და საქმიანობით დაინტერესებული სოც.-დემოკრატები დაადგნენ დათმობის გზას და 2 ადგილი გამგეობაში დაუთმეს სოც. ფედერალისტებს. ამრიგათ გამგეობაში არჩეულ იქნენ: სოც. დემოკრატებისაგან მასწ. ივანე კალანდაძე, ნიკიტა იმნაიშვილი და იაკინთე კალანდარიშვილი, სოც. ფედერალისტებისაგან: მიხაკო იმნაძე და მ. ჩხიკვაძე. სარევიზიო კომისიაში: ზაქარია წულაძე და სტეფანე ნიკოლაიშვილი.

დამსწრე.

## მოსკოვის სახალხ. ბანკის განყოფილება თფილისში

გაზეთებში უკვე იყო მოთავსებული ცნობა მოსკოვიდან სახალხო ბანკის ინს[illegible]რის ლავრინოვიჩის ჩამოსვლის შე[illegible]. მას დავალებული აქვს გააფარ[illegible] აქ კოოპერატიული ფინანსიური ც[illegible]ტრის მოქმედება. მოსკოვის სახალხო ბანკი დღეს ერთად ერთი ბანკია, რომელიც რუსეთში კერძო ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ სწორად მოქმედ საკრედიტო დაწესებულებათ უნდა ჩაითვალოს. 14 დეკემბრის შემდეგ, როცა კერძო ბანკები იძულებული იყვნენ შეეწყვიტათ თავისი მოქმედება, სახალხო ბანკი ერთად ერთი დაწესებულება იყო, სადაც მსურველები ათავსებდნენ თავიანთ თანხებს. ამასთან ერთად გაიზარდა ბანკის აქტიური ოპერაციებიც, რადგან საერთო ეკონომიურმა ანარქიამ გააძლიერა კოოპერატიული მშენებლობა, რომელიც სახალხო ბანკს მიმართავდა, როგორც თავის ფინანსიურ ცენტრს. ამ წლის 1 იანვრისთვის ბანკში მობარებული თანხები უდრიდნენ 132.000.000 მ. ამავე წლის აგვისტოსთვის კი 700,000,000 მ. ბანკის ბრუნვა 1917 წ. უდრიდა 3 მილიარდს, 1918 წ. კი ასეთივე ბრუნვა იყო წლის პირველ ნახევარში.

სახალხო ბანკი სცდილობს შეაკავშიროს თავისი მოქმედება მთელი რუსეთის კოოპერატიულ მუშაობასთან და ამ მიზნით აძლიერებს საემისიო მოქმედებას, ავრცელებს აქციებს (რომლების შეძენა მარტო კოოპერატივებს შეუძლიათ) და მით აძლიერებს ძირითად თანხას. გავრცელებულია სულ 140.000 აქცია (35.000.000 მ.) 5.000 კოოპერატივთა და მათ კავშირთა შორის. აქციების უკანასკნელი გამოცემა (25.000.000 მან.) განაწილდა სულ 5 თვის განმავლობაში და ისიც ისე, რომ ხელის მომწერლებმა გადააჭარბა აქციების რიცხვს 37 პროც.

ამ ჟამად ბანკმა განიზრახა ახალი აქციების გამოშვება 65.000.000 მან., რომლითაც ბანკის ძირითადი თანხა გაიზრდება 1.00 000.000 მანეთამდე.

ამიერ-კავკასიის კოოპერაცია ამდენ ხანს არ იყო მჭიდროთ შემორტყმული სახალხო ბანკის გარშემო. აქ გავრცელებული ბანკის აქციები არ აღემატება რამოდენიმე ასეულს.

ტფილისის განყოფილება ამ დღეებში მიიღებს ხელის მოწერას აქციების მეექვსე გამოშვებაზე. საჭიროა ამ აქციების შეძენა და ამ რიგათ განყოფილების მოქმედების გასაღება, რაც ასე საჭიროა ჩვენი კოოპერაციისთვის და რაც ერთხმათ იყო დადასტურებული და საჭიროთ ცნობილი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა რწმუნებულის ყრილობის მიერ.

## კოოპერატივების საყურადღებოთ

თვითმპყრობელობის დროს ძნელი იყო საზ. ორგანიზაციებისა და კოოპერატივების დაარსება, დღეს კი ამ უკანასკნელთ ფართე გზა გაეხსნათ და მათ დაარსებას წინ ვერავინ გადაეღობება. საჭიროა მხოლოდ თანხმობით მუშაობა, რომ ყველა ის იმედები, რომელიც კოოპერაციაზეა დამყარებული, გამართლებულ იქნას.

მომხმარებელთა კოოპერატივი უბრალო დუქანი არ არის, ეს პირველათ ყოვლისა, საზოგადოებრივი დაწესებულებაა და მისი გამგეობა ვალდებულია ყოველმხრივი ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას და, სხვათა შორის, ყური ადევნოს სავაჭროში ბუჰგალტერიის სწორ წარმოებას.

ზოგიერთი მომხმარებელთა საზოგადოება არ იძენს საანგარიშო წიგნებს, არ იწვევს სამსახურში მოანგარიშეს, არ გზავნის თავის წარმომადგენელს ან მოანგარიშეს კოოპერატიულ კურსებზე. კოოპერატივები, რომლებიც ანგარიშსა და წიგნების წარმოებას არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას, მხოლოდ უკანასკნელ დღეს, კრიტიკულ მომენტში—მიმართავენ კავშირს დახმარებისათვის და ინსტრუქტორებისა ან სხვა ვინმე ანგარიშის მცოდნე პირის გაგზავნას მოითხოვენ, მაგრამ ინსტრუქტორები, ვინაიდან მათ ბევრი სხვა საქმეებიც აქვთ, ყოველთვის ხომ ვერ შესძლებენ ასეთი კოოპერატ. თხოვნის შესრულებას!

გულწრფელმა კოოპერატორებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ ზემოთ აღნიშნული, ჩვენი კოოპერატივებისთვის ჩვეულებრივ, ნაკლის თავიდან ასაცილებლათ და არ დაზოგონ ამისთვის არც ხარჯი და არც მონდომება: უნდა ყოველმა კოოპერატივმა თავის ვალათ ჩასთვალოს, გაგზავნოს ერთი კაცი მაინც მოკლე ვადიან კურსებზე, რომლებსაც ინსტრუქტორები აწყობენ; მალე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირიც გახსნის თფილისში მუდმივ კოოპერატიულ სკოლას: ამითაც უნდა ისარგებლოს ყველამ, ვისაც კოოპერატიული საქმე და ცოდნა აინტერესებს. მანამ კი აქვე მოვიყვანთ იმ წიგნების და ბლანკების სიას, რომელიც საჭიროა ყველა იმ კოოპერატივებისათვის, სადაც აწარმოებენ ანგარიშს ორმაგ ამერიკულ სისტემით*). 1) ორმაგი ან სამმაგი ჩეკი, 2) ყოველთვიური და წლიური ანგარიშების ბლანკი, 3) საქონლის სიის ბლანკი, 4) შემოსავლის ორდერი, 5) გასავლის ორდერი, 6) საქონლის დღიური, 7) კასის ოღიური, 8) მთავარი წიგნი (კასა მემორიალი), პირადი ანგარიშების წიგნი, 10) ინვენტარის წიგნი, 11) ოქმის წიგნი, გამგეობის სხდომის ოქმის ნიმუშით და სხვა. გარდა ამისა საჭიროა თვითეულ წევრს მომხმარებელ საზოგადოებისას თან ჰქონდეს საზოგადოების წესდება, საწევრო საანგარიშო წიგნაკი, საწევრო საქონლის წიგნაკი და აგრეთვე კოოპერ. შინაარსის ყველა წიგნები და ბროშიურები.

თედ. ხუხუნაიშვილი.

*) ყველა ჩამოთვლილი წიგნები და ბლანკები იყიდება ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში; თფილისი, მიხეილის ქუჩა, № 178.

## მუშათა შორის

მზარეულთა კავშირის შესახებ. 22 გიორგობისთვეს მოხდა ახლად არჩეული მოსამსახურეების და უმუშევრების საბჭოს გამგეობის კრება. წესრიგში იყო რამოდენიმე კითხვები შეტანილი: 1) უმუშევრების შესახებ, 2) კავშირის არსებობის შესახებ, 3) დელეგატის ამორჩევა ცენტრალურ ბიუროში. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუციები: უმუშევრების შესახებ: „უნდა მოვაგროვოთ ერთი დღის ნამუშევარი ერთ დროულათ“. კავშირის შესახებ იქნა საბჭოსაგან არჩეული ოთხი კაცისგან შემდგარი აღმასრულებელი კომისია, ორი უმუშევრებისგან და ორი მომუშავეებისგან. იმათ ევალებათ ადგილების გამოძებნა უმუშევრებისთვის შეძლების და გვარათ. და აგრეთვე ჩაწერილი წევრების შემოერთება კავშირში. მესამეთ მოხდა ცენტრალურ საბჭოში დელეგატის გაგზავნა, ამოვირჩიეთ ერთი ამხანაგი. გადაწყდა საბჭოს კრება ხდებოდეს შაბათობით. კავშირი ღიაა ყოველ დღე ათიდან სამ საათამდე და ხუთიდან რვამდე. გარდა ამისა მზარეულთა კავ. გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ რადგანაც ბევრი ამხანაგები მიგროვდენ და არიან უსაქმოთ და აქეთ ძრიელ სიძვირეა სანოვაგისა, ვთხოვთ ამხანაგებს ნუ ჩამოვლენ.

კავშირის მეთვალყურე.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 7 ნოემბერს მოხდა საქონლის სადგურის ს.-დ. ორგანიზ. კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2) საქართველოს პარლამენტის წევრის ამხ. გ. ცინცაძის მოხსენება; 3) საგამომძიებლო კომისიის მოხსენება; 4) მიმდინარე კითხვები; 5) განცხადებანი ადგილებიდან. სარევიზიო კომისიის წევრმა არზიანმა განცხადება შემოიტანა, რომ ის განთავისუფლებული იყოს სარევიზიო კომისიის წევრობიდან, ვინაიდან არ დამიშვეს რევიზიის გასაკეთებლათო. ეს განცხადება კრებამ არ შეიწყნარა და არზიანის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: არზიანი არ ყოფილა არც პროფესიონალურ კავშირიდან და არც ს.-დ. პარტიიდან განდევნილი, ამიტომ კავშირის თავმჯდომარეს არ ჰქონდა უფლება უკრებოთ არიზიანი რევიზიაზე არ დაეშვა. ვითვალისწინებთ რა ამას ჩვენ პარტიული კრება ვავალებთ არიზიანს, ჯიბლაძეს და ელიკაშვილს მოახდინონ დაჩქარებით კავშირების რევიზია და ანგარიშები დაწვრილებით წარმოგვიდგინონ. მომავალ კრებაზე. ამხანაგი ცინცაძე მოხსენებას აკეთებს მომენტის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ თფ. საქ. სადგურის პარტიულმა ორგანიზაციებმა მოვისმინეთ რა მოხსენება გრ. ცინცაძისა და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დემოკრატიის დაქსაქსვის პოლიტიკა სავალალო და დამღუპველია, რომ იგი ჩვენ ქვეყანას და დამოუკიდებლობას უფსკრულის კარამდე მიიყვანს, ს.-დ. პ. უნდა ცდილობდეს დარაზმოს მუშათა კლასის ყველა შეგნებული ელემენტები და ხელი შეუწყოს დემოკრატიულ ორგანიზაციების გამაგრებას, ჩვენ უნდა შემოვიკრიბოთ თვის გარშემო საქართველოს ყველა დემოკრატიული ძალები და ენერგიულათ დავიცვათ ჩვენი სამშობლო, როგორც შინაურ ისე გარეშე რეაქციისაგან“.

ხ. ქრისტინეშვილი.

## პროვინცია

ბორჯომი. უკანასკნელ ხანებში ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმე თანდათან უკან მიდის და მოსალოდნელია მისი სავსებით დახურვაც. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ სასწავლებელს ინსპექტორად მოევლინა ადგილობრივ პირველ დაწყებითი სკოლის ყოფილი მასწავლებელი ბ. გიორგი ვაშაკიძე. პიროვნება, რომელსაც გარდა გამგეთ ყოფნის სურვილისა, არ აქვს ამ თანამდებობისათვის შესაფერი არც ცოდნა და არც განათლება. რამდენათაც ჩვენ ვიცით სახელოსნო სკოლის ინსპექტორი უნდა იყოს თუ უმაღლესი არა, არა ნაკლებ საშუალო სპეციალურ განათლებით აღჭურვილი მაინც. ეს პირი კი მხოლოდ სახალხო მასწავლებლის ცოდნითაა და დაშვებული იყო ამ თანამდებობაზე მხოლოდ დროებით. ამ გარემოებას არა ერთხელ მიაქციეს ყურადღება, როგორც მოწაფეებმა, ისე პედაგოგიურმა საბჭომ, მაგრამ ყოველთვის ამას უპასუხებდენ, რომ მალე სკოლა სასწავლებლად გადაკეთდება და გამგეც სპეციალისტი დაინიშნებაო. მაგრამ სინამდვილეში სულ წინააღმდეგი მოხდა: სკოლის გადაკეთებას თან მოჰყვა ბ. ვაშაკიძის ამ თანამდებობაზე დამტკიცებაც. საინტერესოა თუ რითი ხელმძღვანელობდენ, რომ ბ. ვაშაკიძე დანიშნეს ამ თანამდებობაზე? ამ დღეებში პედაგოგიურმა საბჭომ წარუდგინა ბ. ვაშაკიძეს კატეგორიული მოთხოვნილება, რათა მან გაანთავისუფლოს სკოლის გამგის ადგილი და მით საშუალება მისცეს სასწავლებელს შესაფერ კანდიდატის მოწვევისა, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო მიმართავს სხვა ზომებსო. ვნახოთ, რას უპასუხებენ მათ. შეიძლება ვინმემ ნათქვამის დასაბუთება მოგვთხოვოს? ჩვენ მზათ ვართ უტყუარ საბუთებით დავამტკიცოთ ის, რასაც ვამბობთ.

მოქალაქე.

—

თელავი. საგუბერნიო კომისრის რაზმით მოსვლამ ხალხი მეტად გაახარა. საჭირო ზომების მიღების შემდეგ ყაჩაღები აილაგმენ. ზოგი მათგანი დაიხოცა. ეხლა კი თავისუფლად ამოისუნთქა თელავის დემოკრატიამ. ავაზაკთა და ყაჩაღთა ბუნაგი ამოიფხვრა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდენ მცხოვრებთ. ბნელი ძალებიც ჩაჩუმდენ.

მეავბადი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი მისცეთ „ერთობაში“ ამ ჩვენს წერილს. ბ. „პროკსიმუს“. ქუთაისის პატივცემულ გაზეთ „ხალხის მეგობრის“ № 305-ში: ჩხარიდან გაგზავნილ წერილში ბ. ავტორი სხვათა შორის დიდ ცილს გვწამებს ჩვენ, ჩხარის სომხებს. ბრალს გვდებს: 1) ვითომც ჩვენ რაღაცა ავანტიურას ვეწყოდეთ, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. 2) ვითომც ჩვენ, რაღაცა ფარული დამოკიდებულება გვქონდეს თფილისის სომხებთან, იქიდან იარაღს ვიძენდეთ, აჯანყებას ვაპირებდეთ და სხვადასხვა. იგი ურჩევს მთავრობას რომ მან უეჭველათ ჩვენ აგვლაგმოს და აგვყაროს კიდეც. ჩვენ აყრას უჩქარის ავტორი, რომ ჩვენმა გვემამ ფართო ნიადაგი არ მიიღოს. თხოულობს, რომ კიდეც დავისაჯოთ, რადგანაც, როგორც ბრძანებს, ჩვენ არავის მოსვენებას არ ვაძლევთ. 3) ბ. „პროკსიმუს“-ი ამტკიცებს რომ ჩვენ იარაღით სავსე ვართ. ამ ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულმა ამბებმა შეგვაწუხა, როგორც ჩვენ, აგრეთვე ჩვენს დაბაში მცხოვრები ქართველებიც, რომლებმაც მოგვთხოვეს ჩვენ, რომ უეჭველათ პასუხი მივსცეთ ავტორს.

ჩვენ, ამის ხელის მომწერნი, დ. ჩხარის სომხები ვთხოულობთ: 1) ბ. „პროკსიმუს“-ი გამოაშკარავდეს თავისი ნამდვილი სახელითა და გვარით, რომ უფრო კარგათ დავამტკიცოთ მისი ცილისწამება. 2) მუხლობრივ დაამტკიცოს ყოველივე ბრალდებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ, სადაც ჯერ არს, რომ ბ. „პროკსიმუს“ ი დაისაჯოს.

ჩვენ კი ვიტყვით: ჩვენ და ქართველებში, რომელთანაც ჩვენ ვცხოვრობთ ძმურათა და მეგობრულათ, არავითარი უკმაყოფილება ან შური არ ყოფილა და არც იქნება. ამას დაამტკიცებს თვით ჩხარის ქართველი საზოგადოება. რაც შეეხება მთავრობის წინააღმდეგობას, ეგ გულშიაც არ გაგვივლია, და არც გავივლებთ, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი მთავრობა, რომლის ხელქვეშ ჩვენ ბედნიერათა და არხეინათ ვცხოვრობთ, შემდეგშიც ბედნიერათ გვაცხოვრებს განურჩევლათ ეროვნებისა, და ერთნაირათ ყველას გვიამაგებს. ამას ვამბობთ ჩვენ ყველგან და კიდევაც ვიტყვით სანამ პირში სული გვიდგმევა. ველით ბ. „პროკსიმუს“ ის პასუხს.

ჩხარელი სომხები.
(ხელს აწერს 45 კაცი).


# განცხადებანი

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
## პეპელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი
იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

გახსნილია
## კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97.
ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ და შინაგ, 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საშვილოსნო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. & ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება: 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

ექიმი ვ. ვ. მუხაძე
იღებს საღლოსტაქტო [illegible] საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77

მთ. ქალთ ა. ზ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამედიცინო [illegible] სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი მ. ა. ზაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმ-ოკულისტისა
ყოფილი ასისტენტი [illegible] კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი
## ა. პ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე ხაჯვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
## მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით“ (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნ. ბავშვთა, საშვილოსნო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
## გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.
## სახალხო სახლი.
ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება:
# სოფლის გმირები
პიესა 4 მოქ. ე. ნინოშვილის მოთხრობიდან, გადმოკ. პ. ირეთელის მიერ.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ს. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ-ნნი: ა. თავდგირიძე, ე. თალაკვაძე, ი. რომანიშვილი, ს. ტარუაშვილი, ფინიაშვილი, ი. მიანდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. სალაყაია, ნ. ჭანკვატაძე, მ. მაჟანოვი.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 1 დეკემბერს. რეჟისორი ი. ბარველი.

# სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
ხუთშაბთს, 28 ნოემბერს
მ. ი. ბლუშკოს, ა. მ. კანშინის და ისეცკას მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
# ქ ი დ ო ვ კ ა
ოპერა 4 მოქ. 5 სურ.
ფასები დაწეულია. დასაწყისი საღამოს $7\frac{1}{2}$ საათ.
ანონსი: პარასკევს, 29 ნოემბერს—„კარმენი“, შაბათს, 30 ნოემბერს—„რიგოლეტო“, კვირას, 1 დეკემბერს, დილით—„პაიაცი“ და „ქორწინება უკრაინაში“, საღამოთი—„დუბროვსკი“.

ნიკოლოზ სიმონის ძე მეტეხელი ამ რამდენიმე თვის უკან წავიდა ქ. ფოთში და მას შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, ვსთხოვთ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: კაჩუბეის შესახვევი, № 11. თამარა მეტეხელს. (3—1)

იბეჭდება და მალე გამოვა ამხანაგობა „გლობუსის“ გამოცემა
# 1919 წ. დემოკრატიული კალენდარი 1919 წ.
კალენდარში, ჩვეულებრივი საკალენდარო ნაწილის გარდა, მოთავსებული იქნება შემდეგი განყოფილებები შედგენილი შემდეგი ავტორების მიერ: პოლიტიკური და იურიდიული დავ. ონიაშვილი და ლევ. ასათიანი, საექიმო ივ. გომართელი, სამეურნეო ტიმოფეევი და ვაცაძე, სალიტერატურო ეშმაკი. მოთავსებული იქნება აგრეთვე საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეების სურათები.
კალენდარი დაახლოვებით ეღირება 3 მან. აგენტებმა და წიგნის მაღაზიებმა ეხლავე უნდა დაიკვეთონ—ვის რამდენი უნდა—რადგანაც ბევრი არ დაიბეჭდება. საწყობი—კანტორა „განათლება“-ში, ოლღას ქ. № 6, ტელეფ. 3—44. (3—1)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.